საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა


# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | №18 | პარასკევი, 28 დეკემბერი, 1990 | ფასი 3 კაპიკი.




თბილისი, 1990 წლის 27 დეკემბერი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა.

გივი კიკვაძის და იოსებ დავითაშვილის ფოტო („საქართველოს" ფოტოქრონიკა).

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

27 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელიც გახსნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

დეპუტატებმა პატივი მიაგეს საავტომობილო კატასტროფაში დაღუპული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის გუგულა ჯაფარიძის ხსოვნას.

შემდეგ სესია შეუდგა დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ნუგზარ მოლოდინაშვილმა დამსწრეთ გააცნო ამნისტიის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე კანონის პროექტი, რომელიც მიიღეს.

1991 წლისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო ხაზინის კომიტეტის თავმჯდომარემ ომარ ვარძელაშვილმა.

ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები ავთანდილ იმნაძე, ნოდარ ნათაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი, გურამ ქაშაკაშვილი და სხვები.

მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა გურამ აბსანძემ.

ამ საკითხის გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ დეპუტატები მაია მაჭავარიანი, გურამ პეტრიაშვილი, აკაკი საკანდელიძე, ლევარდ ტუხაშვილი, რამაზ ხურმანიძე და სხვები.

დასკვნა ამ საკითხზე გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ტარიელ გელანტიამ, რის შემდეგაც გაჩაღდა საკმაოდ ცხარე აზრთა გაზიარება, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ბაკურ გულუა, როლან გოცირიძე, გივი თაქთაქიშვილი, ზელიმ ჩოჩოლაშვილი, ნოდარ ნათაძე, ირინე ტალიაშვილი, პაატა კოლუაშვილი, მინდია სალუქვაძე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხაზინის კომიტეტის თავმჯდომარე ომარ ვარძელაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა და სხვები.

სესიამ მიიღო დადგენილება 1991 წლისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზის შესახებ, იღებენ კანონს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, დადგენილებას რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე.

დეპუტატებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის საკითხი, რომლის გამო კანონის პროექტი წარმოადგინა დეპუტატმა დავით კუპრეიშვილმა. კამათში გამოვიდნენ დეპუტატები თეიმურაზ ქორიძე, დავით ბერძენიშვილი, თედო პაატაშვილი, ზაზა კახიანი, ლევან ალექსიძე, ავთანდილ საყვარელიძე, ნიკოლოზ ხაჰაპურიძე, თედო ნინიძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი და სხვები.

სესიამ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის კანონი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულების საკითხზე გამოვიდა დეპუტატი გიორგი გულბანი.

უზენაესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი კანონი.

რეფერენდუმის კანონის თაობაზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი.

სესიამ მიიღო დადგენილება რეფერენდუმის კანონპროექტის პუბლიკაციის თაობაზე მისი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

დეპუტატებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის საკითხი და მიიღეს დადგენილება შესაბამისი კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე. მიღებულია საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების კანონი.

სესიამ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი მინდია უგრეხელიძე, მის პირველ მოადგილედ — დეპუტატი ვაჟა აბაკელია.

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად უზენაესმა საბჭომ დანიშნა ვახტანგ რაზმაძე.

28 დეკემბერს სესია მუშაობას განაგრძობს.

სს „საქართველო"

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

# საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1991 წლის პროგნოზის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონისა და 1991 წლის საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების განმსაზღვრელი სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1991 წლის პროგნოზი", რომელიც შემუშავებულია საწარმოების, დარგებისა და რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სავარაუდო მონაცემთა საფუძველზე.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მყარი ფუნქციონირებისა და სხვა რესპუბლიკებთან ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროში თანამშრომლობის, თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი გაცვლის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ:

დაამტკიცოს და შემსრულებლებს გააცნოს 1991 წელს სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდებისა და სამუშაოთა შესრულების დავალებები მათი ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით დაბალანსების გათვალისწინებით;

დაადგინოს, რომ სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდებისა და სამუშაოთა შესრულების დავალებები სავალდებულოა საწარმოთა პროგრამაში შესატანად და შესასრულებლად;

აცნობოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს ბაზრის ტევადობის საორიენტაციო პარამეტრები — სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, სხვა დარგთა პროდუქციისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამუშაოების წარმოებისა და შესრულების საპროგნოზო მაჩვენებლები 1991 წლისათვის.

3. 1991 წელს სახალხო მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნისა და სტაბილიზაციის, საბაზრო ურთიერთობის ფორმების დანერგვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებად მიჩნეულ იქნეს:

რესპუბლიკაში და მის ყველა რეგიონში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია;

ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის გაჯანსაღება და სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაცია;

ურთიერთშეთანხმებული სოციალური გარანტიების სისტემის პრაქტიკაში დანერგვა და მოსახლეობის დასაქმების ერთიანი პოლიტიკის ფორმირება მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერისათვის ცენტრალიზებული წესით გამოყოფილი სახსრებიდან რესპუბლიკის მოსახლეობისათვის სამართლიანი წილის მიღებისა და მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფის გათვალისწინებით;

სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობისა და ბაზრის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ღონისძიებათა თანამიმდევრული განხორციელება საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის სამუშაოთა ფართოდ გაშლის პირობებში.

4. რჩევა მიეცეთ რესპუბლიკის სამინისტროებს, საწარმოებს, უწყებებს, ორგანიზაციებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მათს განკარგულებაში არსებული სავალუტო სახსრების გამოყენების მიმართულებათა განსაზღვრისას, უწინარეს ყოვლისა, გაითვალისწინონ მათი ხარჯვა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისა და მოსახლეობისათვის გასაწევი მომსახურების მოცულობის გასადიდებლად საჭირო ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელ ნაკეთობათა და მოწყობილობათა შეძენისათვის.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ამჟამად მიმდინარეობს სხვა რესპუბლიკებთან ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებათა დადების პროცესი, რომელმაც სათანადო პირობები უნდა შეუქმნას როგორც ძველი სამეურნეო ურთიერთობების შენარჩუნებას, ასევე ახალი კავშირების ჩამოყალიბებას. ამ პროცესის მიზანდასახული წარმართვისა და 1991 წლის პროგნოზით შემუშავებული საწარმოო და სამშენებლო პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებს, საწარმოებსა და გაერთიანებებს გააქტიურონ მუშაობა შესაბამისი საწარმოო კავშირების შენარჩუნება-გაძლიერების, სანედლეულო რესურსების ახალი ალტერნატიული წყაროების გამონახვის, შრომითი და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1990 წლის 27 დეკემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს მინდია გურამის ძე **უგრეხელიძე** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1990 წლის 27 დეკემბერი.

## მინდია გურამის ძე უგრეხელიძე



**დაიბადა** 1942 წელს ქ. ქუთაისში, ქართველია, იურისტი, 1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

1958-59 წლებში იყო პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კულტმასობრივი მუშაკი, შემდეგ თბილისის სამხედრო მექანიკური ქარხნის აღმრიცხველი, სამუსიკო სკოლის პედაგოგი.

1963-1976 წლებში მინდია უგრეხელიძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1976-1983 წლებში კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტია.

1983-1986 წლებში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის მოადგილედ, 1986-1988 წლებში — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორად.

1988 წლიდან დღემდე იყო გაზეთ „კომუნისტის" (შემდეგში „ახალი საქართველოს") ჯერ რედაქტორის პირველი მოადგილე, შემდეგ რედაქტორი.

ჰყავს ცოლი და ორი შვილი.

# საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საფუძვლის მომზადება გარდამავალ პერიოდში, რასაც ითვალისწინებს საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 14 ნოემბრის კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ", აგრეთვე მტკიცე ფინანსური ბაზა უნდა შეუქმნას რესპუბლიკის ეკონომიკის სტაბილიზაციასა და შემდგომ განვითარებას.

რესპუბლიკაში შექმნილმა რთულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ, რესპუბლიკათშორისი და დარგთაშორისი კავშირების მოშლამ, რაც განაპირობა მართვის ტოტალიტარულმა სისტემამ, მნიშვნელოვნად გაართულა სახალხო მეურნეობის დარგების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგება, შეაფერხა მუშაობა და გააუარესა მათი ფინანსური მდგომარეობა. გამწვავდა სამომხმარებლო ბაზრის პრობლემები, მნიშვნელოვნად შემცირდება სახალხო მოხმარების საქონლითა და სურსათით რესპუბლიკის მოსახლეობის მომარაგება, იმატა ფულის გაუფასურების ტემპმა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის რეალურ შემოსავალზე.

ასეთ ვითარებაში საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მიღწევის გარდამავალ ეტაპზე და რომელიც პირველად ყალიბდება ცენტრის ტოტალიტარული დიქტატისაგან დამოუკიდებლად, ხელოვნურად შექმნილ ურთულეს წინააღმდეგობებს აწყდება. საკავშირო მთავრობამ მის მიერ ეკონომიკის უუნარო გაძღოლით გამოწვეული ფინანსური სიძნელეების აბსოლუტური უმეტესობა რესპუბლიკებს გადააბარა. სახელდობრ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მსუბუქი მრეწველობის ნედლეულის შესასყიდი ფასების მომატებასთან დაკავშირებული ფასთა სხვაობის ანაზღაურება საკავშირო ბიუჯეტს აიცილეს და რესპუბლიკის ბიუჯეტმა უნდა დაფაროს. რესპუბლიკის ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს აგრეთვე ხელფასებისა და პენსიების მნიშვნელოვან მომატებასთან დაკავშირებული ხარჯები. ამგვარმა და სხვა იმპერიულმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო გაართულა დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე მდგომი რესპუბლიკის ეკონომიკური სიძნელეები და გაზარდა მომავალი წლის ბიუჯეტის დეფიციტი, რაც არაორდინარული, განსაკუთრებული ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობისა და რენტაბელობის დონის მკვეთრი ამაღლების, ზარალიანობის ლიკვიდაციის, ყოველგვარი რესურსების გამოყენებაში მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის განხორციელების, არამწარმოებლური და უნაყოფო დანაკარგების მინიმუმამდე შემცირების ხარჯზე, რათა მყარი გახდეს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი და უზრუნველყოფილ იქნეს ამ ბიუჯეტის ხარჯების რაციონალური გამოყენება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით შემოსავლის ნაწილში 5.524 731 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში 6.534.118 ათასი მანეთის ოდენობით.

განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა 1.009.387 ათასი მანეთის ოდენობით.

დადგინდეს, რომ ბიუჯეტის ხარჯები ფინანსდება ფაქტობრივად მიღებული შემოსავლის ფარგლებში.

**მუხლი. 2.** დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, შეიმუშაოს კონკრეტული წინადადებები რესპუბლიკური ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად.

რეკომენდაცია მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შესაბამისი სამუშაოების ჩატარების თაობაზე.

**მუხლი 3.** დაწესდეს, რომ ბრუნვის გადასახადი და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებული საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადი, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯარიმებიდან და სანქციებიდან მიღებული შემოსავალი, საბაჟო გადასახადი, აუქციონების შემოსავალი, სხვა არასაგადასახადო შემოსავალი და მოსაკრებლები მთლიანად ჩაირიცხება რესპუბლიკის ბიუჯეტში.

**მუხლი 4.** დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი:

1. ბრუნვის გადასახადიდან — 2.029.900 ათასი მანეთი;

2. სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადი — 1.065.837 ათასი მანეთი;

მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადი — 266.000 ათასი მანეთი;

3. მოსახლეობიდან გადასახადი — 743.900 ათასი მანეთი.

**მუხლი 5.** საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღებისა და სტაბილიზაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნას ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონდი 1.332.430 ათასი მანეთის ოდენობით და დაწესდეს, რომ მასში ჩაირიცხება საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების:

— მოგება, რომელიც მიღებულია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ანარიცხების ტარიფების 11 პროცენტის შემცირებით;

— ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი სამორტიზაციო ანარიცხების 20 პროცენტი;

— შემოსავალი, მიღებული წლის დასაწყისისათვის დარიცხული ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ნაშთიდან, 50 პროცენტის ოდენობით;

— გადასახადი — გაყიდვიდან სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საქონელბრუნვის, რეალიზაციის, სამუშაოთა მოცულობის, მომსახურებისა და სხვა სახის სამეურნეო საქმიანობის მოცულობის 5 პროცენტამდე ოდენობით;

— შემოსავალი, მიღებული 1991 წლის 1 იანვრისათვის რიცხული სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაშთის გადაფასების შედეგად.

ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონდის სახსრები მოხმარდეს სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, სუბვენციების გამოყოფას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებისათვის, სხვა მიზნობრივი ხარჯების დაფინანსებას.

**მუხლი 6.** დაწესდეს, საკუთრების ფორმის მიუხედავად, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების (კოლმეურნეობების გარდა), მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადი — 45 პროცენტის, ხოლო კოლმეურნეობების მოგებიდან გადასახადი — 35 პროცენტის ოდენობით.

**მუხლი 7.** დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის, კერძოდ, მრეწველობის, აგროსამრეწველო და სამშენებლო კომპლექსების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის განკუთვნილი ხარჯები 1.826.603 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 8.** დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური და კულტურული ღონისძიებებისათვის, კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის, საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმების და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის, აგრეთვე მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის (პროდუქციაზე საცალო ფასების მოწესრიგების საკომპენსაციოდ), პენსიების, დახმარებების, სანატორიულ-საკურორტო და სხვა ღონისძიებების ხარჯების სახელმწიფო სოციალური დაზღვევისა და მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შენატანებზე გადანამეტის დაფარვისათვის განკუთვნილი ასიგნებანი 4.305.589 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 9.** დამტკიცდეს 1991 წლის სახელმწიფო სოციალური დაზღვევისა და მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შენატანებიდან შემოსავალი 1.549.000 ათასი მანეთის ხოლო პენსიების, და-

(დასასრული მე-2 გვ.).

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

# საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის დანიშვნის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ვახტანგ აპოლონის ძე **რაზმაძე** საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1990 წლის 27 დეკემბერი.

## ვახტანგ აპოლონის ძე რაზმაძე



**დაიბადა** 1930 წელს ამბროლაურის რაიონის სოფ. ზედა შავრაში. 1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1955-1968 წლებში მუშაობდა ქ. ტყიბულში „ტყიბულქვანახშირის" შახტის კადრების განყოფილების უფროსად, ქ. ტყიბულის პროკურორად. 1968-1974 წლებში სამუშაოდ გადმოჰყავთ რესპუბლიკის პროკურატურაში, სადაც იყო განყოფილების პროკურორი, განყოფილების უფროსის მოადგილე, საგამოძიებო განყოფილების უფროსი. 1974 წლიდან 1980 წლამდე ქ. თბილისის პროკურორია.

1980-1982 წლებში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ. 1982 წლიდან 1985 წლამდე საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილეა, ხოლო 1985 წლიდან დღემდე — საქართველოს რესპუბლიკის პროკურორი.

ჰყავს ცოლი და ორი შვილი.

# საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

(დასასრული)

ხმარების, სანატორიულ-საკურორტო და სხვა ღონისძიებების ხარჯები — 2.293.172 ათასი მანეთის ოდენობით, შემოსავალზე ხარჯების 744172 ათასი მანეთის გადამეტებით, რომელიც დაიფაროს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებიდან.

**მუხლი 10.** დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, სასამართლოებისა და სამართალდამცავი ორგანოების შესანახი ასიგნებანი 177.379 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 11.** დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 4.412.184 ათასი მანეთის, გასავლის ნაწილში — 5.196.688 ათასი მანეთის ოდენობით, ამ ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა — 784504 ათასი მანეთისა და საბიუჯეტო საბრუნავი სახსრები 1991 წლის 1 იანვრისათვის — 39335 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 12.** გამოეყოს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სუბვენციები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტს, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებს 169.738 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 13.** დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1991 წლის ბიუჯეტები, ამ ბიუჯეტების დეფიციტის ზღვრული თანხა შემდეგი ოდენობით:

(ათასმანეთობით)

| ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქებისა და რაიონების დასახელება | შემოსავალი | სუბვენცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | დეფიციტის ზღვრული ოდენობა | გასავალი |
|---|---|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ | 120757,5 | — | 20677,8 | 141435,3 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა | 82294,6 | 8769,2 | 16075,0 | 107138,8 |
| ქ. თბილისი | 392364,9 | — | 69226,8 | 461591,7 |
| ქ. ქუთაისი | 58283,4 | 14951,5 | 12929,0 | 86153,9 |
| ქ. ცხინვალი | 9429,5 | 5968,1 | 2722,0 | 18119,6 |
| ქ. ფოთი | 14197,4 | 3608,3 | 3147,0 | 20952,7 |
| ქ. ჭიათურა | 11909,3 | 2847,7 | 2610,0 | 17367,0 |
| ქ. რუსთავი | 36937,7 | 7856,8 | 7910,0 | 52704,5 |
| ქ. გორი | 10535,7 | 1237,0 | 2083,0 | 13855,7 |
| ქ. ტყიბული | 6584,3 | 1643,1 | 1457,0 | 9684,4 |
| ქ. ზუგდიდი | 9882,3 | — | 1569,0 | 11451,3 |
| ქ. წყალტუბო | 11288,9 | — | 1540,1 | 12829,0 |
| აბაშის რაიონი | 2968,5 | 3833,5 | 1206,0 | 8008,0 |
| ადიგენის რაიონი | 2130,3 | 4301,8 | 1140,0 | 7572,1 |
| ამბროლაურის რაიონი | 2526,0 | 3093,5 | 997,0 | 6616,5 |
| ასპინძის რაიონი | 1680,7 | 3030,8 | 837,0 | 5548.5 |
| ახალგორის რაიონი | 1769,4 | 1971,3 | 665,0 | 4405.7 |
| ახალქალაქის რაიონი | 8668,8 | 3188,2 | 2098,0 | 13955.0 |
| ახალციხის რაიონი | 6863,1 | 4469,2 | 2005,0 | 13337,3 |
| ახმეტის რაიონი | 5310,7 | 3297,8 | 1525,0 | 10133,5 |
| ბაღდათის რაიონი | 3649,5 | 3134,9 | 1203,0 | 7987,4 |
| ბოგდანოვკის რაიონი | 5634,9 | 2352,8 | 1415,0 | 9402.7 |
| ბოლნისის რაიონი | 9997,9 | 1548,6 | 2043,0 | 13589,5 |
| ბორჯომის რაიონი | 6296,8 | 2254,8 | 1514,0 | 10065,6 |
| გარდაბნის რაიონი | 14956,1 | — | 2541,6 | 17497,7 |
| გორის რაიონი | 11140,5 | 1084,0 | 2163,0 | 14387,5 |
| გურჯაანის რაიონი | 10404,7 | 1835,8 | 2165,0 | 14405,5 |
| დმანისის რაიონი | 5210,4 | 3325,2 | 1512,0 | 10047,6 |
| დუშეთის რაიონი | 6519,6 | 2039,6 | 1516,0 | 10075,2 |
| ვანის რაიონი | 3805,9 | 3429,9 | 1282,0 | 8517,8 |
| ზესტაფონის რაიონი | 12016,9 | 915,8 | 2288,0 | 15220,7 |
| ზნაურის რაიონი | 1170,2 | 1738,0 | 519,0 | 3427,6 |
| ზუგდიდის რაიონი | 10521,0 | 1027,7 | 2043,0 | 13591,7 |
| თეთრი წყაროს რაიონი | 6416,1 | 151,1 | 1404,0 | 9330,2 |
| თელავის რაიონი | 11597,7 | 3411,4 | 2654,0 | 17663,1 |
| თერჯოლის რაიონი | 5590,1 | 2293,1 | 1397,0 | 9230,2 |
| თიანეთის რაიონი | 1713,8 | 3212,7 | 875,0 | 5801,5 |
| კასპის რაიონი | 8397,4 | 516,0 | 1578,0 | 10491,4 |
| ლაგოდეხის რაიონი | 7305,4 | 2264,5 | 1694,0 | 11263,9 |
| ლანჩხუთის რაიონი | 7882,9 | 92,7 | 1413,0 | 9388,6 |
| ლენტეხის რაიონი | 1078,3 | 3516,0 | 816,0 | 5410,3 |
| მარნეულის რაიონი | 18953,9 | — | 3264,3 | 22218,2 |
| მარტვილის რაიონი | 4819,9 | 4495,7 | 1649,0 | 10964,6 |
| მესტიის რაიონი | 1692,8 | 5253,4 | 1231,0 | 8177,2 |
| მცხეთის რაიონი | 8908,9 | — | 1494,3 | 10403,2 |
| ოზურგეთის რაიონი | 17737,3 | — | 3046,3 | 20783,6 |
| ონის რაიონი | 1976,8 | 2239,8 | 749,0 | 4965,6 |
| საგარეჯოს რაიონი | 7378,0 | 1834,9 | 1631,0 | 10843,9 |
| სამტრედიის რაიონი | 10819,5 | — | 1856,6 | 12676,1 |
| საჩხერის რაიონი | 4706,9 | 3487,8 | 1451,0 | 9645,7 |
| სენაკის რაიონი | 10172,7 | — | 1754,9 | 11927,6 |
| სიღნაღის რაიონი | 7265,4 | 2096,9 | 1657,0 | 11019,3 |
| ქარელის რაიონი | 5050,5 | 3659,0 | 1542,0 | 10251,5 |
| ყაზბეგის რაიონი | 2206,1 | 819,1 | 539,0 | 3564,2 |
| ყვარლის რაიონი | 5336,7 | 2797,0 | 1441,0 | 9574,7 |
| ჩოხატაურის რაიონი | 3955,4 | 2622,7 | 1166,0 | 7744,1 |
| ჩხოროწყუს რაიონი | 4070,5 | 3484,0 | 1339,0 | 8893,5 |
| ცაგერის რაიონი | 1771,2 | 3863,5 | 1000,0 | 6634,7 |
| ცხინვალის რაიონი | 3411,8 | 473,8 | 591,0 | 4576,6 |
| წალენჯიხის რაიონი | 8707,5 | 610,5 | 1650,0 | 10968,0 |
| წალკის რაიონი | 5315,0 | 3837,4 | 1621,0 | 10773,4 |
| წითელი წყაროს რაიონი | 5225,4 | 2051,7 | 1290,0 | 8567,1 |
| ხარაგაულის რაიონი | 2566,4 | 4019,4 | 1167,0 | 7752,8 |
| ხაშურის რაიონი | 9416,9 | 343,0 | 1728,0 | 11487,9 |
| ხობის რაიონი | 6618,8 | 1197,1 | 1385,0 | 9200,9 |
| ხონის რაიონი | 4655,5 | 3561,2 | 1455,0 | 9671,7 |
| ჯავის რაიონი | 2118,1 | 1418,6 | 629,0 | 4165,7 |
| სულ რესპუბლიკაში: | 1112547,0 | 169738,3 | 224882,7 | 1507168,0 |

**მუხლი 14.** დამტკიცდეს 1991 წლისათვის სახელმწიფო გადასახადები და შემოსავალი საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) მოსახლეობის გადასახადები (გარდა მუშა-მოსამსახურეთა საშემოსავლო გადასახადისა), სატყეო შემოსავალი, სატრანსპორტო საშუალებათა და თვითმავალი მექანიზმების მფლობელთა გადასახადი, საპატენტო გადასახადი, ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, სახელმწიფო ბაჟი, საბაჟო გადასახადი, შენობის მფლობელთა და მიწის გადასახადი, სხვა ადგილობრივი გადასახადები, შემოსავალი ჯარიმებიდან და სანქციებიდან, აუქციონების ჩატარებიდან, მოსაკრებლებიდან და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებიდან, გაერთიანებებიდან და ორგანიზაციებიდან სხვა არასაგადასახადო შემოსავლები;

ბ) მუშა-მოსამსახურეთა საშემოსავლო გადასახადი აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტში — 69 პროცენტის, ქ. თბილისის ბიუჯეტში — 38 პროცენტის, ქ. ზუგდიდის — 56 პროცენტის, ქ. წყალტუბოს — 85 პროცენტის, გარდაბნის რაიონის ბიუჯეტში — 19 პროცენტის, მარნეულის — 64 პროცენტის, მცხეთის — 32 პროცენტის, ოზურგეთის — 90 პროცენტის, სამტრედიის — 42 პროცენტის, სენაკის რაიონის ბიუჯეტში — 94 პროცენტის ოდენობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში, რესპუბლიკური დაქვემდებარების დანარჩენი ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში — 100 პროცენტის ოდენობით;

გ) ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადი — 100 პროცენტი;

დ) 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციის თანხიდან — 10 პროცენტი;

**მუხლი 15.** დაწესდეს, რომ საწარმოები (გაერთიანებები), დაწესებულებები, ორგანიზაციები, საკუთრების მიუხედავად, ყველა ანგარიშსწორებას (გარდა ხელფასისა და საბიუჯეტო გადარიცხვებისა) ახორციელებენ საანგარიშსწორებო დოკუმენტის შემოსვლის (გადასახადის ვადის დადგომის) კალენდარული რიგითობით.

**მუხლი 16.** დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განიხილოს წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც მოცემულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნებში საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები, და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

**მუხლი 17.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება რესპუბლიკის ფინანსების უკიდურესი დაძაბვის პირობებში მიზნად ისახავს ეკონომიკის გაჯანსაღებასა და სტაბილიზაციას, გადაუდებელი სოციალური საკითხების გადაწყვეტას. მართვის რესპუბლიკური და ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოებისაგან, ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციისაგან მოითხოვს ეკონომიისა და მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის პრაქტიკულად განხორციელებას და წარმოების ეფექტიანობის მაქსიმალურ გაუმჯობესებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. გამსახურდია**

თბილისი. 1990 წლის 27 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 4.532.832 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში 4.398.758 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 134 074 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. გამსახურდია**

თბილისი, 1990 წლის 27 დეკემბერი.

### გასწორება

**ჩვენი** გაზეთის 27 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარის“ განცხადების გამო.

აღნიშნული მასალის სათაურში „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვის“ ნაცვლად უნდა იკითხებოდეს: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის მიმართვა“...

საქართველოს რესპუბლიკის

## კანონი

### „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონს სამართლიანობისა და ჰუმანიზმის პრინციპების გათვალისწინებით დაემატოს შემდეგი შინაარსის $7^1$ მუხლი:

„$7^1$. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან დანიშნული ვადის მიუხედავად, მსჯავრდადებულნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, აგრეთვე ისეთი სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ხელყოფისათვის საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 93-ე, 94-ე და $96^1$ მუხლების საფუძველზე, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც ასეთი ქმედება ჩაიდინეს ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის გზით.

შეწყდეს ზემოაღნიშნულ დანაშაულთა გამო აღძრული ყველა საგამოძიებო და სასამართლოებში განუხილველი საქმისწარმოება“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. გამსახურდია**

თბილისი, 1990 წლის 27 დეკემბერი.

## მთავრობის მოამბე

# რეალობით ნაკარნახევი პროგნოზი

**იწურება** 1990 წელი; მოდის ახალი, 1991 წელი... მემკვიდრეობად ილებს რა ყოველივე იმას, რითაც შარშან ვცხოვრობდით, იგი გარდაუვალად მოიტანს ჩვენს სინამდვილეში ახლანდელი საქმის მდგომარეობის რეალიებით გამოწვეულ ახალ სერიოზულ სიძნელეებსა და მწვავე პრობლემებს. და ძალზე საჭიროა, მზად ვიყოთ ამისათვის, რადგან მომავალი მუშაობის ორიენტირების პროეცირება იმისთვის, რომ მაქსიმალურად გავითვალისწინოთ შესაძლებელი გართულებანი, სულაც არ არის მარტივი პროცესები, რომლებიც ახასიათებს ყოველგვარ გარდამავალ პერიოდს, მით უმეტეს, როცა მისი მიზანია სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა.

სწორედ ამ პოზიციებიდან განიხილავდნენ 25 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში გამართულ თათბირზე მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზსა და საქართველოს რესპუბლიკის საგაისო სახელმწიფო ბიუჯეტს.

თათბირს უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ოთარ კაკაურიძისა და ფინანსთა მინისტრის გურამ აბსანძის მოხსენებებში გულმოდგინედ იყო გაანალიზებული წარმოდგენილი დოკუმენტების მოსამზადებელი მუშაობა. აღინიშნა, რომ წლითიწლობით დამტკიცებული სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებისაგან განსხვავებით, რომლებსაც დირექტიული ხასიათი ჰქონდა, ამჟამად, საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პრინციპების შესაბამისად, ისინი შემუშავებულია საწარმოების, გაერთიანებების, სამინისტროებისა და რეგიონების განზრახვათა და ღლეისათვის შექმნილი სამეურნეო კავშირურთიერთობის რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე — ორივე დოკუმენტის ფორმირება ხდებოდა ფრიად არაორდინარულ ვითარებაში. ერთი მხრივ, უზენაესი საბჭოს მიერ გამოცხადებულმა გარდამავალმა პერიოდმა სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საკმაოდ სასიკეთო პოლიტიკური ფონი შექმნა ახალ თვისებრივ მდგომარეობაზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის თანამიმდევრული გადაყვანისათვის. ამავე დროს საკავშირო ორგანოებმა მატერიალურ-ტექნიკური და სასურსათო რესურსების სულ უფრო მზარდი დეფიციტის პირობებში ეგრეთ წოდებული რადიკალური რეფორმის ლოზუნგით მოიხსნეს დიდი ნაწილი პასუხისმგებლობისა ცენტრალიზებული წესით რესპუბლიკის მომარაგებისათვის; ამას მოჰყვა მოგვარებული საწარმოო კავშირურთიერთობის დაშლა, მეწარმეთა დიქტატი და ცივილიზებული მეურნეობრიობისათვის სრულიად მიუღებელი ნატურალური გაცვლის განუწყვეტელი ზრდის ტენდენცია, რამაც საბოლოო ანგარიშით განსაზღვრა კიდეც მიმდინარე წლის დავალებათა შესრულების ჩაშლა.

როგორც მომხსენებლები, ისე თათბირზე გამოსული სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ უნდა უზრუნველყოს გარდამავალ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლების მომზადება, მტკიცე ფინანსური ბაზა შეუქმნას რესპუბლიკის ეკონომიკის სტაბილიზაციას და შემდგომ განვითარებას. არადა, ბიუჯეტის ფორმირება ხელოვნურად შექმნილ ურთულეს წინააღმდეგობებს აწყდება. ეკონომიკისადმი საკავშირო მთავრობის უუნარო ხელმძღვანელობით გამოწვეული ფინანსური სიძნელეების აბსოლუტური უმრავლესობა დაეკისრათ რესპუბლიკებს. კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მსუბუქი მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის შესასყიდი ფასების გაზრდასთან დაკავშირებული ფასების სხვაობის ანაზღაურება ამოღებულია საკავშირო ბიუჯეტიდან და დაევალა რესპუბლიკურ ბიუჯეტს. რესპუბლიკის ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს ხელფასისა და პენსიების მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებული ხარჯებიც.

ამგვარმა და სხვა იმპერიულმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო გაამწვავა რესპუბლიკის ეკონომიკური სიძნელეები, გაზარდა მისი ბიუჯეტის დეფიციტი მომავალი წლისათვის. ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ასეთ პირობებში საჭიროა არაორდინარული, საგანგებო ღონისძიებანი საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობისა და რენტაბელობის დონის მკვეთრი ამაღლებისათვის, ზარალიანობის ლიკვიდაციისათვის, ყოველგვარი რესურსების გამოყენებაში მომჭირნეობის უსწრაფესი რეჟიმის განხორციელებისათვის, არასაწარმოო დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებისათვის. სხდომის მონაწილეებმა განმარტეს, რომ რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია 1.009.387 ათასი მანეთით და გამოთქვეს კონკრეტული წინადადებანი, რათა დაიფაროს ეს დეფიციტი. კერძოდ, რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით, ნავარაუდევია შეიქმნას ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონდი, რომელშიც შესაბამისი სახსრები უნდა შეიტანონ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, უწყებებმა და მათდამი დაქვემდებარებულმა საწარმოებმა, გაერთიანებებმა და ორგანიზაციებმა,

სს „საქართველო“

## ფოტორეპორტაჟი



თოვლი.
ბადრი ვადაჭკორიას, სიმონ კილაძისა და თენგიზ ფურცხვანიძის ფოტო.





## ხიდი

# დღის წესრიგშია კატასტროფის მედიცინა

**1990 წლის** სექტემბერ-ოქტომბერში, ამერიკის სამედიცინო ასოციაციის მიწვევით აშშ-ში იმყოფებოდა საქართველოს ექიმთა ასოციაციის გამგეობის წევრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი წილოსანი. იგი მიიწვიეს საერთაშორისო ასამბლეაზე ქალაქ სან-ფრანცისკოში, რომელიც მიეძღვნა სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საკითხებს. მეცნიერის მოხსენება ეხებოდა იმ სამუშაოს თავისებურებას, რომელიც გასწიეს ირანში მომხდარი მიწისძვრის დროს საქართველოს ექიმთა ასოციაციის წევრებმა.

ამერიკელ ექიმებში დიდი ინტერესი გამოიწვია ქართველი ექიმის მოკვლეულმა მასალებმა, რომლებშიც პირველად არის მოცემული მიწისძვრის პირობებში ავადმყოფთა ჯგუფებისა და მათთვის სპეციალური სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კლასიფიკაცია. იგი პროფესორმა ტრემბლერმა პოსტ-კატასტროფული სინდრომის გათვალისწინებით ამერიკის კომპიუტერულ სასწავლო პროგრამაში შეიტანა.

გიორგი წილოსანი აირჩიეს კალიფორნიის სამედიცინო ასოციაციის საპატიო წევრად. მას სამახსოვროდ გადასცეს სასწავლო-სამედიცინო კომპიუტერული პროგრამები და სპეციალური ლიტერატურა. იგი დელეგატად იყო მიწვეული ამერიკელ ქირურგთა 76-ე ყოველწლიურ კონგრესზე, რომელიც ჩატარდა ოქტომბერში ქალაქ სან-ფრანცისკოში.

მოგზაურობის მეორე ეტაპი ბალტიმორის ჯონ ჰოპკინსის სამედიცინო ცენტრისა და ვაშინგტონის მერილენდისა და ვირჯინიის შტატების სასწრაფო სამედიცინო სისტემის მუშაობის გაცნობით დაიწყო ვაშინგტონში საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელიც 1991 წლის ოქტომბერში ბოსტონში ატარებს მსოფლიო კონგრესს, იქ დელეგატად ქართველი ექიმიც მიიწვიეს.

მერილენდის შტატის ქალაქ ლეონარდთაუნში მოეწყო სპეციალური საღამო, რომელიც მიეძღვნა ლენინგრადელი და ქართველი ექიმების სტუმრობას.

მოხსენებებს მიეძღვნა საღამოს მეორე ნაწილი, რომელიც გახსნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა პროფესორმა ნენსი ბრიგსმა. იგი 1990 წლის მაისში თბილისში იმყოფებოდა საქართველოს ექიმთა ასოციაციის მოწვევით. აქ მეცნიერის მოხსენებაში, რომელიც საქართველოს და კერძოდ თბილისს ეხებოდა, დემონსტრირებული იყო სლაიდები. საქართველოს კულტურის ძეგლებსა და სამედიცინო დაწესებულებებზე ამერიკის სამედიცინო საზოგადოებას ობიექტური ინფორმაციები მიაწოდეს, თუ რა გადაიტანა ქართველმა ხალხმა 1989 წლის 9 აპრილს. ამავე თემით დაიწყო ქართველი ექიმის მოხსენება, რომელიც საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას და იმ სამუშაოს ეხებოდა, რასაც საქართველოს ექიმთა ასოციაცია ეწევა. საღამოს დასასრულს ქალაქის მერმა, რომელიც აგრეთვე კონგრესის არჩევნებში მონაწილეობდა, მერილენდის შტატის საპატიო მოქალაქის დიპლომები გადასცა ქართველ და ლენინგრადელ ექიმებს.

გიორგი წილოსანი ოქტომბრის თვის ბოლოს უკვე თბილისში შეხვდა მის ერთ-ერთ ყოფილ მასპინძელს, სან-ხოსეს ტრავმაცენტრის დირექტორს პროფესორ ტრემბლერს, რომელიც იმყოფებოდა ჩვენს დედაქალაქში კატასტროფის მედიცინის პრობლემებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე. ქალბატონმა ტრემბლერმა, სხვა დაწესებულებებთან ერთად, ინახულა ქირურგიის ინსტიტუტი და გამოთქვა სურვილი, რათა დამყარდეს სამედიცინო კონტაქტები კალიფორნიის სამეცნიერო სამკურნალო ცენტრებსა და ინსტიტუტს შორის. გაიცვალოს კადრები, მოეწყოს ერთობლივი ოპერაციები, საქართველოში მოხერხდეს მედიკამენტებისა და სამედიცინო აპარატურის, კომპიუტერების ჩამოტანა. ტრემბლერი ყოველგვარ დახმარებასა და ხელის შეწყობას შეპირდა ქართველ მედიკოსებს ყველა იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რაც დღეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის წინაშე დგას.

**იზა ჯაჭვაძე**

## საკუთარ სახლში

### საახალწლო სასოფლო-სამეურნეო ბაზრობა

**29-30 დეკემბერს** თბილისსა და რუსთავში გაიმართება საახალწლო სასოფლო-სამეურნეო ბაზრობა. მასში პრაქტიკულად მონაწილეობს რესპუბლიკის ყველა რაიონი. სოფლის მშრომელები ქალაქელებს ჩამოუტანენ ოცზე მეტი დასახელების პროდუქციას. ეს არის საქონლის, ღორისა და ცხვრის ხორცი, ცოცხალი ფრინველი, ყველი, ლობიო, ფქვილი, ბოსტნეული, ხილი. მთის რაიონები აპირებენ კარტოფილის შემოზიდვას. მარტო ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების მშრომელებმა თბილისელებისათვის მოამზადეს შესაბამისად 100 და 50 ტონა კარტოფილი. მათვე მოამზადეს ბაზრობისათვის თითო ტონა ყველი და 4-4,5 ტონა ხორცი.

ბაზრობა გაიმართება რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა რაიონში. ნაძალადევის რაიონში, მაგალითად, მანქანები ჩამოვლენ თიანეთის, ოზურგეთის, მარტვილისა და ხაშურის რაიონებიდან, კრწანისის რაიონში — საგარეჯოს, წალკის, ქარელის, ლაგოდეხის რაიონებიდან, დიდუბისაში — მცხეთის, დუშეთის, წალენჯიხის, ვანის და ხობის რაიონებიდან...

სამ-სამ ათას ფრთა ქათამს ჩამოუყვანენ ქალაქელებს კასპისა და საგარეჯოს რაიონების მშრომელები, გარდაბნელები კი ხუთი ათას ფრთას, ხუთ ტონაზე მეტ ლობიოს მიიღებენ თბილისის მცხოვრებლები გორის რაიონის სოფლებიდან, საგარეჯოელებისა და წითელწყაროელების ძირითადი ასორტიმენტი ხორცია.

უკვე განსაზღვრულია ბაზრობათა ადგილები. მაგალითად, ვაკის რაიონში ეს არის სტუდქალაქის ტერიტორია და მეტრო დელისი, მთაწმინდის რაიონში — ჯორჯაძისა და დავითაშვილის ქუჩები, სევასტოპოლის დასახლება და ფილარმონიის წინა მოედანი. ისნის რაიონში — სკვერი 5 დეკემბრის ქუჩის წინ, ვაზისუბანი, ვარკეთილი. ბევრ რაიონში შენარჩუნებულია ბაზრობების მოწყობის ტრადიციული ადგილები.

როგორც [illegible] მრეწვში გვაცნობეს, სოფლის მეურნეობის პროდუქცია ბაზრობის დღეებში გაიყიდება რეკომენდებული ფასებით, რომლებიც ბაზრის ფასებზე ნაკლებია. კერძოდ, ხორცის გაყიდვა განზრახულია 8-9 მანეთად, ცოცხალი ფრინველისა კილოგრამი სამ მანეთად და ასე შემდეგ.

ამ დღეებში თბილისისა და რუსთავის მაღაზიებში იზრდება სხვა სასურსათო პროდუქტების, თევზისა და საკონდიტრო ნაწარმის, გამაგრილებელი სასმელების, ღვინო-არყის მიწოდება.

სს „საქართველო“

### გელათის მარკით

**იქ,** სადაც წინათ გელათის მაღარო, ხოლო შემდეგ ტრანსფორმატორების ქარხანა იყო, დღეს სახალხო მოხმარების საქონლის ქარხანა ფუნქციონირებს. მისი კოლექტივი „რიონისა“ და „ნების“ მარკის ელექტროვიბროტუმბოებს უშვებს, რომლებსაც ფართოდ იყენებენ საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. ქარხანამ აითვისა ახალი ტიპის შემდუღებელი აპარატი „ციკლოვექტორი“, რომელმაც წარმატებით გაიარა ტექნიკური გამოცდა. ამჟამად ქარხანა აპირებს ხელშეკრულების გაფორმებას ვიეტნამთან — საზღვარგარეთ უნდა გაიგზავნოს „ნების“ მარკის 5.000 ტუმბო. მის სანაცვლოდ კი ვიეტნამიდან მიიღებენ სხვადასხვა სახის სახალხო მოხმარების საქონელს, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს გაუნაწილდებათ. ეს ნაწარმი მოიწონეს ჩინეთის წარმომადგენლებმაც და სავაჭრო ურთიერთობების სურვილი გამოთქვეს.

**გივი გეწაძე,**
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.

### ძვირფასი შხამი

**ყვარლის** ქართული ფუტკრის სახელმწიფო-სანაშენე მეურნეობა 30 წელია არსებობს. დროის ამ მანძილზე, მისმა [illegible] ქართული ფუტკრის ათასობით ამანათ-ნაყარი მიაწოდა მეფუტკრეობის მოყვარულთ, წარმოება-ორგანიზაციებს. მეურნეობაში წელს პირველად მიიღეს ფუტკრის შხამი, რომელზეც ძალიან დიდი მოთხოვნილებაა საერთაშორისო ბაზარზე.

ჯერჯერობით ჩვენ არ გაგვაჩნია სათანადო მოწყობილობა — ამბობს მეურნეობის დირექტორი დალი ტულაშვილი — ამიტომ შხამი სხვათა დახმარებით ავიღეთ, მომავალ წელს მდგომარეობა შეიცვლება, ვიმედოვნებთ. წლევანდელი 400 გრამის მაგიერ, გაცილებით მეტი ფუტკრის შხამი დავამზადოთ, რაც მეტად წაადგება ჩვენი მეურნეობის ეკონომიკას— თითოეული გრამის ღირებულება ხომ 76 მანეთია.

**ზურაბ არსენიშვილი,**
საკ. კორესპონდენტი.

### მესხეთის ქართული დრამატული თეატრი

**მესხეთ**-ჯავახეთის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ახალციხეში ოც წელზე მეტი ხნის წინათ დაარსებულ მესხეთის სახელმწიფო დრამატულ ქართულ თეატრს. ამ კოლექტივის წინაშე თეატრის მთავარი რეჟისორი გახდა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებული გიორგი შალუტაშვილი, რომელიც მანამდე ერთი წლის მანძილზე მუშაობდა აქ რეჟისორად. ამ ახალწლისწინა დღეებში თეატრი მაყურებელს შესთავაზებს შადიმან შამანაძის პიესის „ღია შუშაბანდის“ პრემიერას. მორიგი პრემიერა იქნება თამაზ მეტრეველის პიესა „შეშლილი, შეშლილი, ახალი წელი“. თეატრის დასი ყოველნაირად ცდილობს მესხეთისა და ჯავახეთის მაყურებელი აზიაროს თეატრალურ ხელოვნებას. პირნათლად შეასრულოს ქართული თეატრალური ხელოვნების, მშობლიური ენის, ქართული კულტურის პროპაგანდის საპატიო მისია.

სს „საქართველო“

## პრობლემა

### დავიცვათ მწვანე ნარგავები ბრაკონიერებისგან

**ახალ** წელს დიდი სიხარული მოაქვს ადამიანებისათვის, მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა ახალ წელს ნაძვისხესთან ხვდება. ნაძვისხე — ახალი წლის ეს ტრადიციული სიმბოლო დიდ სიხარულს ანიჭებს ბავშვებს, მათთან ერთად ვხარობთ ჩვენც.

ნაძვნარების დაცვის ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით ჯერ კიდევ 1967 წელს რესპუბლიკის ტერიტორიაზე აიკრძალა სახელმწიფო, საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა უწყებათა ტყეებში, პარკებსა და ბაღებში წიწვოვანი ხეების მოჭრა და გაყიდვა საახალწლო ნაძვისხედ გამოსაყენებლად, აგრეთვე აეკრძალა ყველა ორგანიზაციას, კოლმეურნეობასა და კერძო პირებს საახალწლო ნაძვისხის შემოზიდვა და რეალიზაცია.

დაწესდა, რომ საახალწლო ნაძვისხის მომჭრელ და შემომტან პირებს ჩამოერთმევათ საახალწლო ნაძვისხე და ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდებიან. ამასთან, მოქმედი კანონის შესაბამისად, მნიშვნელოვანი რაოდენობით საახალწლო ნაძვისხის მოჭრის შემთხვევაში დამნაშავე პირების მიმართ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლი.

საახალწლო ნაძვისხის ავტომანქანებით შემოტანის შემთხვევაში მძღოლს ჩამოერთმევა მანქანის მართვის უფლება ერთ წლამდე ვადით.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ახალგაზრდა კორომებისა და მწვანე ნარგავების მდგომარეობა. სავაჭრო ქსელში ფართო ასორტიმენტით იყიდება ხელოვნური ნაძვისხეები.

მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი პირები, რომლებიც ნარგავების დაცვის ნაცვლად უმოწყალოდ სჭრიან ახალგაზრდა მცენარეებს საახალწლო ნაძვისხედ გამოსაყენებლად, ხოლო ბევრი მათგანი უშრომელი შემოსავლის წყაროდ იყენებს მას. გასულ წლებში მრავალი ასეთი ფაქტი აღინიშნა ზუგდიდის, წალენჯიხის, ხობის და სენაკის რაიონებში, საიდანაც დიდძალი კრიპტომერიის მოჭრილი ხეები ჩამოიტანეს. გამოვლინდა აგრეთვე რუსეთის სხვადასხვა რეგიონიდან ე. წ. კოოპერატივების მიერ ბუნებრივი ნაძვისხეებით სპეკულაციის ფაქტები.

— ბრაკონიერების გამოსავლენად და სათანადო სანქციების განხორციელების მიზნით ახალი წლის წინა დღეებში სატყეო მეურნეობების ტყის დაცვის მუშაკებს, მილიციის, რკინიგზის, ავიაციისა და ტრანსპორტის მუშაკებთან ერთად დაუწესდებათ სადღეღამისო მორიგეობა და მუდმივი მეთვალყურეობა, — გვაცნობა საქართველოს ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ტყის დაცვის სამმართველოს უფროსმა ა. სეხნიაშვილმა. — გარდა ამისა, დიდი ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებში და მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში მოეწყობა რეიდები.

მაგრამ მარტო ამგვარი ღონისძიებანი ვერ უზრუნველყოფს სასურველი წესრიგის დამყარებას. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული მოქალაქე ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებას, დაიცვას მისი სიმდიდრეები და წუთიერი სიამოვნების გულისთვის არ გასწიროს იგი. ამიტომ იმათ, ვინც უდიერად ეპყრობა ბუნებას, უნდა გამოვუცხადოთ საყოველთაო-სახალხო ბრძოლა.

სს „საქართველო“

## საზღვარგარეთ

### გადაიდო მინისტრის ვიზიტი მოსკოვში

**ტოკიო.** იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტარო ნაკაიამამ გადაწყვიტა გადადოს საბჭოთა კავშირში თავისი ოფიციალური ვიზიტი, რომელიც იანვრის დამლევს იყო განზრახული.

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ეს გადაწყვეტილება მიიღეს საბჭოთა მხარის თხოვნის პასუხად, რომელმაც „იგი საშინაო ვითარებით" დაასაბუთა. მოსკოვში ტ. ნაკაიამის განზრახული ჰქონდა სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრთან ე. შევარდნაძესთან ერთად განეხილა იაპონიაში მომავალ გაზაფხულზე პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის ვიზიტთან დაკავშირებული საკითხები.

საბჭოთა კავშირში იაპონიის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის ოფიციალური ვიზიტის ახალ ვადებს დიპლომატიური არხებით შეუთანხმებენ. იაპონიის მხარე ვარაუდობს შესაბამისი შეთანხმების მიღწევას ქვეყნის პარლამენტის მორიგი სესიის იანვრის ბოლოს განხსნამდე, იუწყება კიოდო ცუსინის სააგენტო.

### ომი ახლოვდება?

**შეერთებული შტატების** პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა გადაწყვიტა შეწყვიტოს დასვენება ქემპ-დევიდის რეზიდენციაში და ერთი დღით დაბრუნდეს ვაშინგტონში. ეს ცნობა მოყვა იერუსალიმის გაზეთ „მაარივში" გამოქვეყნებულ ინფორმაციის შემდეგ, თითქოს სახელმწიფო მდივანი ჯ. ბეიკერი ერაყის პრეზიდენტს ს. ჰუსეინს ბაღდადში 3 იანვარს უნდა შეხვდეს. მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ა. ბუშმა უარყო ეს ცნობა, ხოლო თეთრი სახლის წარმომადგენელმა დ. [illegible] დაადასტურა, რომ ბაღდადში შეხვედრის ბოლო თარიღი 3 იანვარია.

იმავდროულად სახელმწიფო დეპარტამენტმა გასცა განკარგულება, რომ იორდანიაში და სუდანში ამერიკის [illegible] თანამშრომლებმა და მათმა ოჯახებმა დატოვონ ეს ქვეყნები. ადრე ასეთივე განკარგულება მიიღეს იემენში მყოფმა ამერიკელმა სახელმწიფო მოხელეებმა. ამერიკის მოქალაქეებს ასევე მისცეს რეკომენდაცია დაბრუნდნენ მავრიტანიიდან, ბაჰრეინიდან, არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან, კატარიდან და საუდის არაბეთის აღმოსავლეთ რაიონებიდან. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რ. ბაუჩერმა ეს ნაბიჯი ახსნა „მეტყველი მდგომარეობით", რომელიც სპარსეთის ყურეში შეიქმნა კრიზისის გამო.

ტელეკომპანია სი-ენ-ენ-მა ეს ღონისძიებები შეაფასა, როგორც „საბრძოლო მოქმედებისათვის შეერთებული შტატების მომზადების ფაქტიური ნიშანი". ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ ავიამზიდები „თეოდორ რუზველტი" და „ამერიკა" პარასკევს სადგომს დატოვებენ, რათა მონაწილეობა მიიღონ „უდაბნოს ფარის" ოპერაციაში. ამერიკის სამხედრო უწყების მონაცემებით, ახლა სპარსეთის ყურეში განლაგებულ ძალებს 16 ათასი სამხედრო მეზღვაური ემატება.

ზოგიერთი ამერიკელი სარდლის გაფრთხილება, რომ ამერიკის ჯარები საუდის არაბეთში არ იქნებიან მზად საბრძოლო მოქმედებისათვის 15 იანვარს, არ შეუშლის ხელს პრეზიდენტ ჯ. ბუშს გასცეს შესაბამისი ბრძანება, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის. ეს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსს" განუცხადეს ადმინისტრაციის ოფიციალურმა პირებმა. მათი თქმით, თეთრი სახლი იცავს სარდლების ეჭვებს, როდესაც შეერთებული შტატები გაეროს უშიშროების საბჭოში კენჭს უყრიდა რეზოლუციას, რომელიც ავალდებულებს ერაყს 15 იანვრამდე გაათავისუფლოს ქუვეითის ტერიტორია.

### ჰუსეინი იმუქრება

**მადრიდი.** ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა უარყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს მომავალი წლის 15 იანვრისათვის ქუვეითიდან ერაყის ჯარების გაყვანას. „ყველამ იცის, რომ ქუვეითი ერაყის ნაწილია, — განაცხადა მან.

ესპანეთის კერძო ტელეკომპანიის „ტელესინკოსათვის" მიცემულ ინტერვიუში, სადამ ჰუსეინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, თუ ერაყს აგრესია დაემუქრება, იგი ისრაელს მის მონაწილედ მიიჩნევს. თელ-ავივი, თქვა მან, ერაყის პირველი სამიზნე გახდება, თუ ომი გაჩაღდა სპარსეთის ყურეში, იმისგან დამოუკიდებლად, „მიიღებს თუ არა ისრაელი უშუალო მონაწილეობას აგრესიაში, თუ — არა".

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ერაყი „გაოცებულია სპარსეთის ყურის საბჭოთა კავშირის პოზიციის ნეგატიური განვითარებით". სადამ ჰუსეინმა საბჭოთა პოზიციას უწოდა „უსამართლო, უპასუხისმგებლო ამ საკითხში", და დასძინა; ერაყს „არ ეგონა, რომ იგი ასეთი იქნებოდა".

### რას უნდა ნიშნავდეს?

**საქდესის** საოცარ უნარზე, მიჩქმალოს (ან ფაქტობრივად უგულებელყოს) პოლიტიკური თუ სამხედრო ხასიათის მეტად საინტერესო ინფორმაცია, ერთხელ უკვე მოვახსენეთ მკითხველს. თუმცა, ამჯერად საქმე მხოლოდ „საინფორმაციო იმპერიალიზმს" არ ეხება და ბევრად უფრო სერიოზულ პრობლემას უკავშირდება. დაახლოებით ერთი თვის წინათ თურქულმა გაზეთმა „საბაჰმა" გამოაქვეყნა ცნობა თურქეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრის პიუსნიუ დოგანის განცხადების თაობაზე, რომლის მიხედვითაც თურქეთი ელის უფასოდ მიიღოს საბჭოთა საბრძოლო ტექნიკა და იარაღი, რომელიც ადრე ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განკარგულებაში იყო. მინისტრმა ასევე დასძინა, რომ ჯერჯერობით არ შემდგარა კონტაქტები გერმანიის წარმომადგენლებთან, და თურქეთისთვის საჭირო იარაღის სახეობების და რაოდენობის საკითხს ეროვნული უშიშროების საბჭო განიხილავს. იმავე დღეებში რადიოსადგურმა „გერმანიის ხმამ" თურქულ ენაზე გაიმეორა ეს ცნობა, ოღონდ დაზუსტა რაოდენობრივი მაჩვენებლები, კერძოდ, 2200 ტანკი, 1500 ჯავშანტრანსპორტიორი, „მიგის" ტიპის 400 თვითმფრინავი, 300 ათასი სასროლი იარაღი.

ამგვარი ინფორმაცია, ბუნებრივია, მრავალ კითხვას სვამს. მაგალითად, რა იცის ამის შესახებ მოსკოვმა, და თუ იცის (რაშიც ძნელია ეჭვის შეტანა), რა სამართლებრივი დოკუმენტით არის გამაგრებული ეს გარიგება? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რამდენად შეესაბამება იარაღის გადაცემის ეს ფაქტი ახლახან პარიზში ხელმოწერილ ხელშეკრულებას ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ? აქ, რა თქმა უნდა, ვერ შევუდგებით ამ ხელშეკრულების შესაბამისი მუხლების განხილვას, თუმცა პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მათი ანალიზიც ვერ შეიტანს სიცხადეს ამ უცნაურ ინფორმაციაში, რომელსაც, სხვათა შორის, არავითარი დაზუსტება ან გაქარწყლება არ მოჰყოლია.

იმავე საქდესის ცნობით, თურქეთი პირველ ნაბიჯებს დგამს „ამიერკავკასიაში მშვიდობის მისაღწევად", და თუ ასეა, რამდენად შეუწყობს ხელს მშვიდობის საქმეს ახლა უკვე ყოფილი საბჭოთა იარაღი, რომელიც მოსკოვის ჯერ კიდევ [illegible] წარმომადგენლის ხელში გადაინაცვლებს. ერთი, სიტყვით, კითხვები, კითხვები, პასუხის გაცემას კი, როგორც ჩანს, არავინ აპირებს.

გიგა ბურდული.




იცით თუ არა, რომ გაერთიანებული გერმანიის დედაქალაქი ერთადერთი ბერლინი როდია ჩვენს პლანეტაზე?

ამერიკის შეერთებულ შტატებში ათი დასახლებული პუნქტია ასეთი სახელწოდებით. მათი ბურგომისტრები ამას წინათ შეიკრიბნენ „მთავარ" ბერლინში ავიაკომპანია „ლიუფტჰანზას" მოწვევით საჰაერო ტრასის ნიუ-იორკ-ბერლინის გახსნასთან დაკავშირებით. წითელი რატუშის შენობაში ბერლინის სამხარეო მთავრობამ სტუმრებს დარბაზობა გაუმართა.

ადნ-საქდესის ფოტო.

### ეკრანზეა „ნათლიმამა-3"

**სან-ფრანცისკო.** ფილმი „ნათლიმამა-3", რომელსაც მოუთმენლად ელოდა კინოხელოვნების მრავალი მოყვარული, ფართო ეკრანზე გამოვიდა. საშობაო დღესასწაულის დღეებში მისი პრემიერა ამერიკის 1.800 კინოთეატრში გაიმართა.

ამ ფილმით საქვეყნოდ ცნობილმა რეჟისორმა ფრენსის კოპოლამ დაასრულა კინოტრილოგია იმათზე, ვინც ამერიკული მაფიის „ნათლიმამა" გახდა. მარიო პიუზოს რომანის მიხედვით და მისივე სცენარით შექმნილ პირველ ორ ფილმს სენსაციური წარმატება ხვდა წილად, მათ მიიღეს ამერიკის კინემატოგრაფიის უმაღლესი ჯილდო — „ოსკარის" პრემია, როგორც 1972 და 1974 წლების საუკეთესო კინოლენტებმა.

კოპოლას ახალნდელმა ნამუშევარმა კრიტიკოსებისა და პრესის წინააღმდეგობრივი გამოხმაურება გამოიწვია, ზოგმა იჩქარა განეცხადებინა, რომ „ნათლიმამა-3" ვერც სცენარით და ვერც დრამატურგიით ვერ უტოლდება პირველ ორ შედევრს. მაგრამ ცნობილი კინომიმომხილველის მიკ ლასალის აზრით, „ეს არის ბრწყინვალედ გადაღებული და ნათამაშევი ფილმი, რომელიც ყველაზე უფრო ღრმააზროვანია კინოტრილოგიაში".

ფილმის მთავარ ფიგურად რჩება მაიკლ კორლეონე, რომლის როლსაც კვლავ ელ პაჩინო ასრულებს. ფილმის კრიტიკოსები და მომხრეებიც ერთსულოვანი არიან, რომ ეს ღრმად დრამატული, ფსიქოლოგიურად რთული როლი მან ოსტატურად, „შექსპირის დონეზე" შეასრულა და „ოსკარის" იმედი უნდა ჰქონდეს. მოქმედება 1979 წელს, მეორე ფილმში აღწერილი ამბებიდან 20 წლის შემდეგ ხდება, „ნათლიმამა" მაიკლი უკვე 60 წლისაა.

თვით ფრენსის კოპოლა ჩვეული სიმშვიდითა და იუმორით შეხვდა ფილმის წინააღმდეგობრივ შეფასებებს: „როდესაც ორი წელი ფილმზე მუშაობ, ხალხი ყოველთვის მიგითითებს, თუ რა უნდა გაგეკეთებინა და რა — არა, ხოლო თუ კერძს 20 წუთში მოამზადებ, ირგვლივ ყველა ბედნიერია". საერთოდ კი კოპოლა კმაყოფილი დარჩა ფილმისადმი ინტერესით და მაყურებლის რეაქციით.



**ამერიკელმა** მედიკოსებმა შეიმუშავეს ადამიანის ორგანოების ხელოვნურით შეცვლის მეთოდიკა. კერძოდ, ნიუ-იორკის ცენტრალურ ტრავმატოლოგიურ ცენტრში შეიძლება ყურის აღდგენა ანუ შეცვლა ზუსტი პლასტიკური ასლით. იგი ჯანმრთელი ორგანოს მიხედვით მზადდება. ხელოვნური ყური კანზე სპეციალური წებოთი მაგრდება. ოსტატურად შერჩეული საღებავები სრულფასოვანი ჯანმრთელი ორგანოს შთაბეჭდილებას ქმნიან (სურათზე). ამერიკელ ექიმებს მიაჩნიათ, რომ ყურის შემთხვევაში, მისი შეცვლა კარგად დამზადებული პროთეზით უფრო მოსახერხებელიც კია, ვინაიდან არ ხდება ორგანიზმის მიერ ორგანოს უკუგდება, რომელიც თავის მხრივ შესანიშნავად იტანს ნებისმიერ ყინვას.

საქდესის ფოტოქრონიკა.

## ინტერვიუ

### ოპერატიულობა — უწინარეს ყოვლისა...

**ისნის** რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი გახდა სისხლის სამართლის სამძებროს გამოცდილი მუშაკი გურამ გულბანი. იგი ამ პოსტზე დანიშნეს იმ დროს, როცა მილიციამ, საქართველოში, კომუნისტური რეჟიმის წყალობით, გარკვეულწილად დაკარგული ჰქონდა თავისი დანიშნულება... დღეს კი, როცა ყველა საფუძველია, რომ რეალობად მივიჩნიოთ ქართული ეროვნული მილიციის ჩასახვის ეტაპის დაწყება, ვფიქრობ, უინტერესო არ იქნება ამის თაობაზე შევიტყოთ თვით ბატონ გურამის აზრი.

— ამთავითვე ვიტყვი, — უთხრა საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს" კორესპონდენტს გ. გულბანმა, — მწამს ქართული მილიციის მომავალი. მისი მთლიანობა და დანიშნულება ჩვენ, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებმა უნდა ვეძებოთ მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირში. თუ საზოგადოებამ სოციალური აქტიურობა არ გამოიჩინა, თავს ვერ გავართმევთ რთულ ამოცანებს, რომელთა წინაშეც დაგვაყენა ცხოვრებამ. ოღონდ, გთხოვთ, ნუ გეგონებათ, თითქოს ეს მაღალფარდოვანი სიტყვები იყოს. არა და არა, მათ უკან და მათ წინაშე ვდგავარ მე, სულით ხორცამდე ქართველი, კაცი, რომელიც ჭაბუკობიდანვე ვოცნებობდი ამ პროფესიაზე და ვერა და ვერ შევეგუე იმ ყოველივე ცუდს, შემაძრწუნებელს, რასაც ორგანოებში სამსახურის დროს ვაწყდებოდი ხოლმე.



**— ბატონო გურამ, რის გაკეთებას აპირებთ თქვენს რაიონულ განყოფილებაში მისი მუშაკების პრესტიჟის ამაღლებისა და რაიონში დიდი ხნის ნანატრი საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის?**

— ჯერჯერობით ვსწავლობ საქმის ვითარებას განყოფილებაში. ვფიქრობ, რომ პირველ და უმთავრეს როლს ჩვენს მუშაობაში ასრულებს სისხლის სამართლის სამძებრო. მილიციის ყველა დანარჩენი სამსახური, როგორც მგონია, მისი შემადგენელი რგოლებია. ჯერჯერობით კი, შეიძლება ითქვას, სწორედ სისხლის სამართლის სამძებროა დაჩაგრული, თავად განსაჯეთ: მისი თანამშრომლები დღეღამეში 15-20 საათს მუშაობენ, ხშირად ჭამის საშუალებაც კი არა აქვთ, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ იშვიათად უწევთ ოჯახში ყოფნა. აი რატომ მივიჩნევ ჩემს მოვალეობად, განვაცხადო, რომ ოპერატიული სამსახურების და კერძოდ სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკებს უნდა მიეცეთ შეღავათები ბინის მიღების, ავტომობილის შეძენის, ტელეფონის დადგმის დროს და ა. შ. ცხადია, აუცილებელია ხელფასის მომატებაც. ახლო წარსულში კომუნისტური ხელისუფლება ჩვენგან მხოლოდ საქმეს მოითხოვდა და შეგნებულად ივიწყებდა, რომ ჩვენც ადამიანები ვართ. აი, რატომ იყო, რომ ჩვენ შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც პოულობდა ხვრელებს საკუთარი კეთილდღეობის შექმნისათვის და სარგებლობდა თავისი მდგომარეობით. დღეს, როცა საქართველოს ყოველი მოქალაქე თავის სამუშაო ადგილზე პატიოსნად და უნარიანად უნდა ასრულებდეს მოვალეობებს, ასეთი რამ აღარ მოხდება. რადგან საქართველოს ყოველ მოსახლეს რეალურად გაუჩნდა მოქალაქეობრივი თავისუფლების საშუალება. იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში ამოქმედდება კანონი სამართალდამცავი ორგანოებისა და, მათ შორის, მილიციის შესახებ. პარადოქსულია, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ გარკვეულწილად უუფლებონი ვართ. უფრო მეტიც, ზოგჯერ უკანაც კი ვიხევთ, რაც, რასაკვირველია, ხელს აძლევთ დამნაშავეებს. რაგინდ უცნაურიც უნდა იყოს, საბჭოთა კანონები ისე იყო „გამომცხვარი", რომ ფაქტობრივად ისინი მეტად იცავდნენ დამნაშავეს, ვიდრე თვით მილიციის მუშაკს დანაშაულის მიზეზებისა და ფაქტის გამოვლენის საქმეში. აი რატომ მგონია, რომ ჩვენი ქართული მილიცია კარდინალურად უნდა შეიცვალოს.

**— არის კი რაიმე რეალური ძვრები ამ საქმეში?**

— დღეისათვის ჩვენ ვგრძნობთ ყველაზე მთავარს — ჩვენი რიგების ერთიანობას. თანდათანობით უმჯობესდება განყოფილების ტექნიკური ბაზა. უკვე მივიღეთ სათანადო რაოდენობის ეგრეთ წოდებული „ციმციმები". მიმდინარეობს საჭირო ცეცხლსასროლი იარაღით ოპერმუშაკების დამატებითი დაკომპლექტება.

**— მაინც, რა აკლია მილიციას ტექნიკური თვალსაზრისით?**

— ძალზე გვჭირდება კომპაქტური მინიატიურული რაციების შეძენა, ურომლისოდაც ვერაფერს ვერ გავხდებით. სხვათა შორის, ქალაქის ელექტროქსელების სამმართველოს ცუდი მუშაობის გამო არაერთხელ დავრწმუნებულვართ, თუ რამდენად საჭიროა გვქონდეს საკუთარი რადიოსადგური.

**— თუ არ ვცდები, ისნის რაიონში მოქმედებს მუნიციპალური მილიციის რაზმი. რა აზრისა ხართ ახეთ სიახლეზე?**

— როგორც ცნობილია, მას აფინანსებენ რაიონის საწარმოები, მუნიციპალური მილიციის პირად შემადგენლობაში ახალგაზრდები არიან, რომლებსაც აქვთ შინაგან საქმეთა ორგანოების ოპერმუშაკის ყველა უფლება. მას დიდი მომავალი აქვს.,

თენგიზ ხიავაძე,
სს „საქართველოს კორ.

## შიდა ქართლი

### მივხედოთ, გადავარჩინოთ...

**საქართველოს** მრავალრიცხოვან ისტორიულ ძეგლებს შორის სამშენებლო ხელოვნების მაღალი დონითა და ეპოქისათვის დამახასიათებელი მხატვრული ნიშნებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე შემორჩენილ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, რომლებიც უტყუარი მოწმენი არიან ერის დიდი კულტურული წარსულისა. ბევრ მათგანს ჟამთა სვლამ და მტრის შემმუსვრელმა ხელმა პირველქმნილი სახე უცვალა, ბევრიც მოსპო და ალგავა პირისაგან მიწისა, ხოლო ის, რაც ქარტეხილებს გადაურჩა, ანდამატური ძალით გვიზიდავს, გვიხლავს და ქებათა ქებას წარმოგვათქმევინებს წინაპრებისადმი, რომლებმაც უშრეტი გენიის წყალობით ცივ ქვაში მარადიული სიმფონია ააჟღერეს და ერის ღალადისად შემოუნახეს მომავალ თაობებს.

მდინარე პატარა ლიახვის ხეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ სოფელ აწრისხევს, რომელიც შუა საუკუნეებზე ადრე ყოფილა დასახლებული. იგი ქართულ წერილობით წყაროებში XI-XII საუკუნეების მიჯნაზე მოიხსენიება, XIV საუკუნიდან კი სოფელი ქსნის ერისთავთა გამგებლობაშია და სწორედ ამ ხანიდან იწყება სოფლის გმირული წარსული. აწრისხევის ციხე-გალავანს დღესაც ახსოვს თემურლენგის, შაჰ-აბასისა თუ სხვა მომხდურთა შემოსევები, ვინ მოთვლის მომხდურთან ბრძოლაში მამულის დამცველთა სისხლით რამდენჯერ შეღებილა ქვიტკირის გალავანი, მაგრამ ზღუდედალეწილს კვლავ აღადგენდნენ ხოლმე.

აწრისხევში მტრისაგან იავარქმნილი და ამჟამად განადგურების პირზეა მისული ციხე-გალავანი. აქვეა ორი ეკლესია. პირველი მარიამიძეების საგვარეულო სალოცავია, ხოლო მეორე, ღვთისმშობლის ეკლესია შედარებით ძველია. ორივე ეკლესია დღეს სავალალო მდგომარეობაშია. დაზიანებული სახურავიდან ჩამავალი თოვლისა და წვიმის წყალი დანგრევას უქადის ძეგლებს.

აწრისხევიდან ოციოდე კილომეტრზე, ლიახვის პირას, ქარაფოვან კლდეებზე აღმართულია ბელოთის მაღალკოშკებიანი ციხე-გალავანი, რომლის შიგნით მაცხოვრის ეკლესიაა. ციხის სტრატეგიული მნიშვნელობა თავის დროზე კარგად შეაფასა იულონ ბატონიშვილმა და კიდევაც შეაკეთა, ხოლო საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ციხე-გალავანმა დაკარგა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა. ამჟამად, როგორც ციხე-გალავანი, ისე მაცხოვრის ეკლესია ინგრევა. წვიმამ ეკლესიის კედლებზე წაშალა საუკუნოვანი ფრესკები. რამდენიმე წლის წინათ ბელოთის რვაწლიანი სკოლის პედკოლექტივმა და მოსწავლეებმა ძეგლის შეფობა იკისრეს, მაგრამ... დღეს მაინც დიდი გასაჭირი ადგას.

სოფელ ერედვის წმინდა გიორგის ეკლესიის ერთი ლაპიდარული წარწერა გვამცნობს, რომ იგი X საუკუნეში ხუროთმოძღვარ თეოდორე თაფლაისძეს აუგია, წარწერაში აღნიშნულია: „მე თეოდორე თაფლაისძემან დავდე საძირკველი წელნი იყნეს ხფი ქრონიკ" (ქორონიკონი ხფი 906 წელს უდრის). მართალია, ჟამთა სვლასა და დროთა სიავეში გამოვლილ ძეგლს რესტავრაცია გაუკეთდა, მაგრამ თუ ძველი ხუროთმოძღვრის ქმნილებამ ათას წელს გაძლო, ოცი წლის წინათ შეკეთებული ეკლესიის კედლებს ბევრგან ჩამონგრევის საშიშროება ელის.

სამაჩაბლოს ხუროთმოძღვრულ ძეგლებს შორის სამშენებლო ხელოვნების მაღალი დონით სათანადო ადგილი უკავია დოდოთის ცხრაკარას, რომელიც X საუკუნეში აუგიათ, ერთ წარწერაში ვკითხულობთ: „ქ. სახელისა ღმრთისაითა ივანე ერისთავმან ტბელმან აღაშენა ესე წმინდაი ეკლესიაი სალოცავად მისთვის და ხუთთა ძეთათვის". საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ ქართლის ერისთავი იოანე ტბელი X საუკუნეში მოღვაწეობდა.

ეს დიდებული ძეგლი ახლა სრული განადგურების პირზეა მისული. მთლად მოშლილია გუმბათის კალთა და სახურავი. დარჩენილი კედლებიც ლამის დაინგრეს. ძეგლის ირგვლივ ალაგ-ალაგ ყრია ჩუქურთმიანი ქვები.

სოფელ ხეითში დგას შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუში — საბაწმინდა. წარწერა გვამცნობს, რომ ტაძარი სახელმწიფო აღრიცხვაზეა აყვანილი, მაგრამ როგორ მდგომარეობაშია იგი? მთლიანად შერყეულია საძირკველი, ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელი მორღვეულია და დღეს თუ ხვალ ჩამოიქცევა. გუმბათის კალთა მთლიანად ჩამონგრეულია. საინტერესოა, რატომ უნდა მისულიყო საქმე აქამდე? ასე რატომ მიატოვეს ძეგლი? იგი ხომ სახელმწიფო აღრიცხვაზეა აყვანილი და თანაც იმ დიდებულ ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა შესახებაც დიდი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „არს საბაწმინდას მონასტერი დიდშვენიერი, კეთილად ნაშენი აწ ხუცის ამარ". უნდა ითქვას, რომ ძეგლი სრული უპატრონობით ხელიდან გვეცლება.

სამაჩაბლოს ერთ-ერთი პოლიტიკური ცენტრის — სოფელ აჩაბეთის შესახებ ცნობას VII საუკუნის სომხური გეოგრაფია გვაწვდის. დოკუმენტში სოფელი ხევად არის მოხსენიებული.

საუკუნეების მანძილზე ციხე-გალავანი ძლიერ ბასტიონს წარმოადგენდა სამაჩაბლოში შემრილი მტრის წინააღმდეგ, მაგრამ დასახლებულ პუნქტსა და ციხე-გალავანს განსაკუთრებული მნიშვნელობა მეთოთხმეტე საუკუნეში მიენიჭა, როდესაც მაჩაბლები, დიდი ლიახვის ხეობის ბატონ-პატრონნი, თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ციხე-გალავანი და სოფელი არა მარტო გარეშე მტრების, არამედ შიდა აშლილობის ჟამს მოძმეთა თავდასხმის ობიექტიც ყოფილა.

რა მდგომარეობაშია ახლა ძეგლი? ციხე-გალავანს დაკარგული აქვს პირვანდელი სახე, ბევრგან დანგრევის საშიშროება ემუქრება.

კეხვის ციხეს სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, იგი ერთ ამაღლებულ ადგილას დგას და მედიდურად გასცქერის დიდი ლიახვის ხეობას. ამიტომაც იყო, რომ მის გამაგრება-დაცვას სათანადო ყურადღებას უთმობდა საქართველოს სამეფო ხელისუფლება.

ისტორიულ წყაროებში კეხვის ციხე პირველად 1578 წელს მოიხსენიება, როდესაც ქართლის, ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ეცილებოდნენ თურქეთი და ირანი. 1578 წელს თურქეთის მხედრიონმა ლალა ფაშას სარდლობით დაამარცხა ირანის ჯარი და ქართლში პოზიციები განიმტკიცა.

შემდეგ პერიოდში ყიზილბაშების წინააღმდეგ მებრძოლმა გივი ამილახვარმა კეხვის ციხეში თავისი მხედრიონი ჩააყენა და საიმედოდ გაამაგრა. ირანელთ სამჯერ დალაშქრეს კეხვის ციხე, მაგრამ ვერ გატეხეს და რამდენჯერმე შერცხვენილნი გაბრუნდნენ.

კეხვის ციხეს თავისი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა არც შემდგომ საუკუნეებში დაუკარგავს. 1763 წელს ლეკთა დიდი ჯარი რომ შესევია სამაჩაბლოს, მეფე ერეკლეს წინდაწინ სათანადო ზომები მიუღია, ხეობის ვიწროებში შეტყუებულ მტერს თავს დასხმია და გამარჯვებაც მოუპოვებია. ამას მემატიანეც გვამცნობს. „წელსა 1763, მოვიდა სამაჩაბლოში — კეხვს ლეკის ჯარი, მოასწრო მეფემან ირაკლი, განუმარჯვა და მრავალი მოსწყვიტეს". კეხვის ციხე შემდეგ საუკუნეებშიც დიდ როლს ასრულებდა სამაჩაბლოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. გადიოდა წლები, და კეხვის ციხესაც შეეპარა ასაკი. მისი რესტავრაციის საკითხი ბევრჯერ მდგარა, მაგრამ მშველელი დღემდე არავინ ჩანს.

თირის მონასტრის დაარსების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობები არ შემონახულა. მხოლოდ ის ვიცით, რომ მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან სოფელ თირში საფუძველი ჩაეყარა სამონასტრო ცხოვრებას.

საუკუნეთა მანძილზე ამ მხარის ბატონპატრონნი მაჩაბლები იყვნენ და მონასტერიც მათ საძვალედ იქცა... ნათელია, რომ ძეგლი საუკუნეების მანძილზე დიდ როლს ასრულებდა ამ კუთხის ხალხთა სულიერ ცხოვრებაში.

ქართული ხუროთმოძღვრების კლასიკური ძეგლი დღეს გადაუდებელი პრობლემების წინაშე დგას. დროულად უნდა მივხედოთ, თორემ მერე გვიან იქნება.

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ 1625 წელს მარაბდის ბრძოლაში მოძალებული მტრის წინააღმდეგ მონაწილეობდა ცხრა ძმა ხერხეულიძე. უფროსი ძმა — ალათანგი ზემო ქართლის საერისთაოს მედროშე ყოფილა. გადმოცემის მიხედვით, ძმებს ამ გააფთრებულ ბრძოლაში თან ხლებიათ დედა, რომელიც გმირულად დაღუპულ შვილს ხელიდან დროშას ართმევდა და მომდევნოს გადასცემდა. ასე გადაინაცვლა დროშამ დედამდე. ბრძოლის შემდეგ ხალხმა მოძებნა ხერხეულიძეთა გვამები და პატივით მიაბარა სისხლით მორწყულ მშობლიურ მიწას.

როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ჩანს, ხერხეულიძეები ზნაურის რაიონის სოფელ ყორნისიდან ყოფილან, მეფე პოეტი არჩილი თავის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა", თეიმურაზს ათქმევინებს: „ალათანგის ყორნელთა და დავითს ეთქვა გლდანელებით"...

ეს ალათანგი ზემო ქართლის სადროშოს ალამდარი იყო. ხოლო ყორნელები ნიშნავს იმას, რომ მისი სადროშო ყორნელებისაგან შედგებოდა. მაშასადამე, ცხადია, რომ ხერხეულიძეები სოფელ ყორნისიდან ყოფილან. ყორნისის მიდამოებში ახლაც დგას ხერხეულიძეთა კოშკებისა და ეკლესიის მთელი კომპლექსი, რომელიც დაქცევის პირზეა.

მშველელი?

დღემდე არავინ გამოჩენილა...

ფრონის ხეობის ხუროთმოძღვრულ ძეგლებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას თიღვის ტაძარი იმსახურებს. ტაძრის აგების თაობაზე ჩვენს ისტორიოგრაფიაში მეტად მწირი ცნობები მოიპოვება. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე გვამცნობს, რომ თიღვის ტაძრის ამგებია „დაი დემეტრესი თამარ". როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, თამარი — დავით აღმაშენებლის ასული, შირვანის დედოფალი, დაქვრივების შემდეგ საქართველოში დაბინავებულა და თიღვის მონასტერი აუგია.

რამდენიმე წლის წინათ მონასტერი თითქოსდა აღადგინეს, ასე ვამბობთ, თორემ ათი წლის წინათ დაწყებული საქმე დღესაც არ მიუყვანიათ ბოლომდე.

ქსნის ხეობაში უამრავი არქიტექტურული ძეგლია, მაგრამ არც ერთი მათგანი ისე მოხდენილად არ არის წამოდგმული მთის წვერზე, როგორც წირქოლის ციხე. ამასთან, მას სტრატეგიულად მეტად მარჯვე ადგილი უჭირავს. ამ ადგილას მდინარე ვიწრო კალაპოტიდან გამოედინება და მცირედ ფართოვდება, ისე რომ წყლის მხრიდან ციხე მიუდგომელია.

წირქოლი პირველად X საუკუნიდან იხსენიება, მაგრამ ციხეს, უდიდესი ყურადღება XI საუკუნეში მიაქციეს. XI საუკუნის მიწურულს გიორგი რუსისა და მისი მომხრეების დამარცხების შემდეგ თამარმა ზოგიერთი დიდებული დასაჯა, წირქოლელნი კი შეწყნარებულთა რიგებში იხსენიებიან. შემდეგ საუკუნეებში წირქოლი ისტორიულ წყაროებში ნაკლებად ჩანს, XVIII საუკუნეში კი იგი ქართლის შვიდ უძლიერეს ციხეთა შორის არის მოხსენიებული.

როდესაც ქართლის მეფე თეიმურაზ მეორე გახდა, მან შეძლო ქსნის ხეობის დამორჩილება, მაგრამ წირქოლის ციხე, რომელშიც გივი ამილახვრის შვილი რევაზ ამილახვარი იყო გამაგრებული, ვერ აიღო. თეიმურაზმა დახმარება თავის ვაჟს ერეკლეს სთხოვა. გაერთიანებულმა ძალებმა იძულებულნი გახადეს მეციხოვნენი დანებებულიყვნენ.

წირქოლის ციხემ 1777 წელს უკანასკნელი სამსახური გაუწია ერეკლე მეორეს წინააღმდეგ აჯანყებულ ქსნის ერისთავებს.

წირქოლის ციხის კედლები ბევრგან ისეა დანგრეული, თუ დროულად არ მივხედეთ, შესაძლებელია ხელიდან გამოგვეცალოს.

ქართული წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ ქსნის ერისთავები პირველად თავიანთ თავს „ქვენიფნეველებს" უწოდებდნენ და რეზიდენციაც ქვენიფნევში ჰქონიათ. ერისთავების გაძლიერების შემდეგ რეზიდენცია ახალგორში გადაუტანიათ, მაგრამ საძვალე ისევ სოფელ ლარგვისში შემორჩა.

ლარგვისის მონასტრის აშენების შესახებ ცნობებს „ძეგლი ერისთავთას" ავტორი გვაწვდის. ამ წყაროს მიხედვით ძეგლი პირვანდელი სახით VI საუკუნეში აუშენებიათ, მაგრამ მონასტრის ისტორიას ძირითადად მაინც XIV საუკუნიდან ვიგებთ.

მართალია, ამ მონასტრის რესტავრაცია თითქმის დაამთავრეს, მაგრამ საფრთხე ექმნება გალავანს, რომელსაც გვერდით შმაგი ქსანი ჩაუდის. მდინარემ გალავნის ნაწილს საძირკველი გამოაცალა, ადიდებისას კი უფრო დიდია საშიშროება. გალავნის ამ ნაწილის დასაცავად რკინაბეტონის სულ 10-12 ბლოკია საჭირო. კარგი იქნება, თუ ამ საქმეს დროულ ყურადღებას მიაქცევს ადგილობრივი ხელისუფლება.

დრო გადის, ხუროთმოძღვრული ძეგლები შველას ითხოვენ. მივხედოთ, გადავარჩინოთ და პირნათლად გადავცეთ მომავალ თაობებს, ისინი ხომ ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მოწმენი არიან.

გივი გორცაძე.

### საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელმწიფო კონცერნ „საქყოფსერვისში"

**1990 წლის** 21 დეკემბერს გაიმართა სახელმწიფო კონცერნ „საქყოფსერვისის" რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციების გაერთიანებული საბჭოს სხდომა. საბჭომ განიხილა შემდეგი საკითხები:

1990 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულების მიმდინარეობა და 1991 წლის ამოცანები;

კონცერნ „საქყოფსერვისის" ამოცანები საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად;

საორგანიზაციო საკითხები. მათ შორის

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს და მასში შემავალი საოლქო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს გაუქმების შესახებ.

საბჭომ ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გააუქმა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო და მასში შემავალი საოლქო სარემონტო-სამშენებლო სამმართველო. ამავე გადაწყვეტილებით შეიქმნა ცხინვალის სარაიონთაშორისო სარემონტო-სამშენებლო სამმართველო. სამაჩაბლოს ტერიტორიაზე განლაგებული ქალაქ ცხინვალის და მისი რაიონის, ახალგორის, ზნაურის და ჯავის რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები, ცხინვალის სარაიონთაშორისო სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, სპეცკომბინატი და ავტოსატრანსპორტო საწარმო დამოუკიდებლად იქნენ შეყვანილი კონცერნ „საქყოფსერვისის" შემადგენლობაში.

ასლან აბაშიძე,
კონცერნ „საქყოფსერვისის" პრეზიდენტი.

## სანთელი

### დათო ლაბარტყავას სახელობის ფონდი

**დღეს,** როცა ასეთი ყურადღება ეთმობა ეკოლოგიის საკითხს და მასთან ერთად ადამიანის ჯანმრთელობას, მშრომელ ხალხს გვსურს შევთავაზოთ შექმნას ფონდი, რომელიც განაპირობებს ურთულეს დაავადებასთან ბრძოლას.

გადავწყვიტეთ პირველად საქართველოში შევქმნათ სისხლის სისტემის დაავადებათა შესწავლისა და მკურნალობის ფონდი და ვუწოდოთ მას დათო ლაბარტყავას სახელი, რომლის სიცოცხლე 19 წლის ასაკში შეიწირა მწვავე ლეიკოზმა.

პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი, მოსწავლეთა სასახლესთან არსებულ ბავშვთა საესტრადო ორკესტრ „ლილეს" სოლისტი, ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადის ლაურეატი დათო ლაბარტყავა 1969 წლის 13 მარტს დაავადდა მწვავე ლეიკოზით. ამ უმძიმესმა სნეულებამ მხოლოდ 5 დღე აცოცხლა იგი.

ფონდის ჩამოყალიბებაში დიდი ინიციატივა გამოიჩინეს მისმა მშობლებმა. ასეთივე ფონდი არსებობს ჩიკაგოში — (აშშ), სადაც ლენორ შზვარცის მშობლებმა შექმნეს მწვავე ლეიკოზით უდროოდ გარდაცვლილი 23 წლის ულამაზესი ქალიშვილის საზოგადოება — მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ფონდის მეცნიერულ-პრაქტიკული მიზნები იქნება: ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დანერგვა, სტერილური პალატების შექმნა და მისი აღჭურვა თანამედროვე აპარატურით, მაღალეფექტური სამკურნალო პრეპარატების შეძენა და მკურნალობის უახლესი მეთოდების დანერგვა. რესპუბლიკაში სისხლით დაავადებულთა მკურნალობა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სტანდარტების დონეზე, ავადმყოფთა და მათი ოჯახის წევრებისადმი დახმარების გაწევა. ავადმყოფთა გაგზავნა საზღვარგარეთ სამკურნალოდ და სხვ.

ფონდი წარმოდგენილი იქნება ინდივიდუალური, კოლექტიური, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციებით, რომლებიც სცნობენ ფონდის მიზნებს, ამოცანებსა და ნებაყოფლობით მატერიალურ, ორგანიზაციულ ან სხვა საჭირო დახმარებას გაუწევენ მას და მის საქმიანობას (ფულადი სახსრები, სავალუტო რესურსები და ა. შ.) ფონდის ინდივიდუალური წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოქალაქე მიუხედავად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა, აგრეთვე ავადმყოფთა ახლობლები.

საქართველოს რესპუბლიკის დათო ლაბარტყავას სახელობის სისხლის სისტემის დაავადებათა შესწავლისა და მკურნალობის ფონდის დევიზად ავირჩიეთ ცნობილი ჰოლანდიელი მედიკოსის ვან ტიულპის სიტყვები: „ვიწვი, რათა გავუნათო სხვებს", ემბლემად კი სანთელი, რომელიც იწვის, იფერფლება, ოღონდ ანათებს სიბნელეს (მხატვარი გოგი ავსაჯანიშვილი).

**ფონდის მისამართია:**

380077 თბილისი, ილ. ყაზბეგის პროსპექტი 22 — სისხლის გადასხმის ინსტიტუტი. ტელეფონი — 39-78-18.

ფონდის ანგარიშია—001700654, ქ. თბილისის ბინსოცბანკის საოპერაციო სამმართველო. ბანკის კოდია — 521017.

გურამ ხუციშვილი,
ფონდის მეცნიერ-კონსულტანტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ დათო ლაბარტყავას ფონდში.

## ...ᲡᲮᲕᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ

# ᲡᲝᲭᲨᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

**ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ** წლის 15 დეკემბერს უჩვეულო სანახაობის მოწმენი გახდნენ სოჭის საზამთრო თეატრის დარბაზში შეკრებილი ქართველები, რუსები, უკრაინელები, სომხები, ადიღეელები, ბერძნები და სხვანი. განათებულ სცენის სიღრმეში უზარმაზარ ტილოზე ქართული წარწერა: „მამული, ენა, სარწმუნოება“. სოჭის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექციას და ქალაქ-კურორტ სოჭის ისტორიის მუზეუმს, რომელიც იქვე ახლოს მდებარეობს, განზრახული ჰქონდათ ქართული კულტურის დღის მოწყობა. მზადების დროს გაირკვა, რომ სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დასტური მისცა საინიციატივო ჯგუფს სოჭში ქართული კულტურის ცენტრის შექმნაზე. გადაწყდა, ზუსტად ამ დღეს გაეკეთებინათ აღმასკომის დადგენილების საჯარო წარდგინება, პრეზენტაცია.

და აი, ამ ღონისძიებაზე საგანგებოდ ჩამოსულმა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა მრავალჟამიერის უკვდავი ჰანგებით გახსნა შეხვედრა. შეკრებილთ შესავალი სიტყვით მიმართა სოჭში ქართული კულტურის ცენტრის შექმნის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სემაშკოს სახელობის სანატორიუმის დირექტორმა ედიშერ ჭყოთუამ. ქართული კულტურის ცენტრის შექმნის შესახებ ქალაქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის დადგენილება დამსწრეთ გააცნო საქალაქო საბჭოს დეპუტატთა კულტურის კომისიის თავმჯდომარემ ტატიანა კონცევაიამ. ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა სოჭელ ქართველებს გულითადად მიულოცეს ადიღეური, სომხური, რუსული, უკრაინული, კაზაკური, ბერძნული კულტურის ცენტრების ხელმძღვანელებმა, მათი მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტივებმა. შეხვედრაზე სოჭსა და პლასტუნკაში მცხოვრებ ქართველთა დასახლებების ისტორიაზე ილაპარაკა კიროვის სახელობის სანატორიუმის განყოფილების გამგემ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა გერმანე წვერიანიშვილმა.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა და სოჭის ქართული კულტურის ცენტრის დაარსება აკურთხა ანჩისხატის წინამძღვარმა, დეკანოზმა მამა რევაზმა. თვისტომთ კულტურის ცენტრის შექმნა მიულოცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელმა, პროფესორმა ჯემშედ გიუნაშვილმა, და ამ სტრიქონების ავტორმა. დამსწრენი ტაშით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ნანი ბრეგვაძის გამოსვლას. მსმენელთ მოეწონათ პლასტუნკის სპორტული ბაზის მოსწავლეთა ქართული სიმღერისა და ცეკვის ჯგუფი, რომელსაც ვლადიმერ ბერიკიშვილი ხელმძღვანელობს. იმავე დღეს შეხვედრის მონაწილეებმა სოჭის ისტორიის მუზეუმში დაათვალიერეს ანსამბლის ხელმძღვანელმა, საქართველოს სახალხო არტისტმა ჯემალ ჭკუასელმა და მთელი ანსამბლის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტეს საკუთარი ხარჯით გაგზავნონ სოჭში სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც ადგილზე ჩამოაყალიბებს და მოამზადებს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს.

პლასტუნკელებზე დიდად ზრუნავს საზოგადოება „თვისტომი“, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო თანადგომას გვიწევს, რათა პლასტუნკაში აშენდეს სტაციონარული ამბულატორია, საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს პლასტუნკის კულტურის სახლს მომავალი წლის I კვარტალში უსასყიდლოდ გადაეცემა ავტომანქანა „რაფი“, ხოლო საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექცია სოჭში სათანადო შენობის გამონახვისთანავე დაეხმარება მათ ქართული ბიბლიოთეკის გახსნაში.

ქართული გამოყენებითი დეკორატიული ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, რომელიც მასპინძელთა თხოვნით ერთი თვეს გასტანს (გამოფენა მოაწყო საქართველოს სურათების ეროვნულმა გალერეამ).

მეორე დღეს, კვირას, გაიმართა შეხვედრა სოფელ პლასტუნკის მშრომელებთან. როდესაც სტუმრებმა საქართველოს ჰიმნი დაამღერეს, დარბაზსა და სცენას შორის საზღვარი წაიშალა. მღეროდა ყველა, დიდი თუ პატარა, მღეროდა გულით, მომავლის ნათელი რწმენით. მათ აღუთქვეს მასპინძლებს, რომ ხშირად ეწვევიან პლასტუნკას. შეხვედრაზე სოჭელი და პლასტუნკელი ქართველებისთვის დახმარებისა და ხელშეწყობის თვალსაზრისით ითქვა ბევრი რამ საინტერესო და სამომავლო. სახელდობრ, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მალე პლასტუნკაში დაიწყება წმინდა ილიას სახელობის ტაძრის მშენებლობა, რომელიც მოქმედებდა ომამდე და ამჟამად დანგრეულია.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო

საქართველოს გამსახკომის სახელით გაერთიანება „საქწიგნის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ ვალერიან გოგიშვილმა ტრადიციისამებრ ახლაც ჩამოუტანა მოსწავლეებს უფასოდ 100-ზე მეტი იშვიათი წიგნი, უმეტესად სახელმძღვანელოები, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ კმარა. ამიტომაც აპირებს ეს გაერთიანება აქ ქართული წიგნის მაღაზიის გახსნას, რომელსაც რეგულარულად მოამარაგებს.

ქართულ დღეებს მიეძღვნა ქალაქ სოჭში და სოფელ პლასტუნკაში გაერთიანება „საქწიგნის“ (გენერალური დირექტორი — რ. ჭიჭინაძე) მიერ გამართული (პირველად) ქართული წიგნის ვაჭრობა, ხოლო საქართველოს სამხატვრო ფონდის ხელმძღვანელობამ (ქ. ახვლედიანი) ცენტრალური სამხატვრო სალონის მეშვეობით (ბ. შერვაშიძე, ფ. ჩხიკვიშვილი) უზრუნველყო ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ჩვენი სოჭელი და პლასტუნკელი მასპინძლების გულითადობა, ყურადღება, დიდი სიხარული საქართველოდან ასეთი ფართო, თითქმის ასკაციანი დელეგაციის სტუმრობის გამო, რამაც რწმენითა და იმედით აღავსო ისინი... მასპინძლებიდან ცენტრის თავმჯდომარე ედიშერ ჭყოთუასთან ერთად კეთილი სიტყვით უნდა მოვიხსენიოთ მისი მოადგილე, ქ. სოჭის № 1 საკურორტო პოლიკლინიკის მთავარი ექიმი მერაბ ზვიადაძე, დაუღალავი ენთუზიასტები პლასტუნკის კულტურის სახლის დირექტორი ლუბა უჩაძე, მისი მეუღლე, სპორტბაზა „უროჟაის“ დირექტორი სიმონ უჩაძე, პლასტუნკის საშუალო სკოლის დირექტორი ლუბა კუპინა, პედაგოგი ვერა ფრუიძე, კოოპერატორი სერგო ჩხეტიანი, მძღოლი სულიკო კოსტავა და სხვები, რომლებიც სტუმრებს გვერდიდან არ მოსცილებიან...

პლასტუნკის მოსახლეობის დიდმა გულშემატკივარმა ტელეჟურნალისტმა მარიკა ბაქრაძემ საქართველოს კულტურის სამინისტროს დახმარებით ბევრი რამ გააკეთა ქ. სოჭში ქართული კულტურის დღეების ორგანიზებისა და მოწყობისათვის. დასასრულ, მინდა ვთქვა, რომ ამ ორდღიანმა შეხვედრებმა, საუბრებმა, კონცერტებმა, თითოეული ჩვენთაგანი კიდევ უფრო ღრმად დაარწმუნა იმაში, თუ რაოდენ ძლიერია მამულის სიყვარულის, მოყვასის თანადგომის გრძნობა.

სოჭის ქართული კულტურის ცენტრი სულ რამდენიმე დღეა შეიქმნა. მის ხელმძღვანელობას ბევრი კარგი ჩანაფიქრი აქვს. მთავარი კი ერთია — ქართველთა კონსოლიდაცია, შეკავშირება, ერთიანობა, გამრავლება სოჭის მიწაზე. მაშ, კეთილი იყოს კრასნოდარის მხარეში მცხოვრებ ქართველთა სამოს — მათი კულტურის ცენტრის „ივერიის“ საქმიანობა ქალაქ სოჭში.

**ᲮᲕᲗᲘᲡᲝ ᲐᲠᲩᲔᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

## ᲡᲐᲒᲐᲚᲘᲝᲓ

### [illegible] — ᲝᲥᲡᲐᲔᲠᲘ ᲡᲘᲗᲑᲝ

[illegible]

### ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

[illegible]

სს „საქართველო“



ყინწვისი

ვარლამ გენგიურის ფოტო.

## ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

# ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

**ᲮᲣᲗᲒᲖᲘᲡ** მსოფლიო ჩემპიონმა ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილმა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე თავისი სიტყვა დაიწყო განცხადებით, რომ უარს ამბობს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ალმით გამოსვლაზე და სსრკ ნაკრების წევრებისათვის მინიჭებულ შეღავათებზე. თავისი გადაწყვეტილება მან დაასაბუთა ქართული სპორტის ინტერესებითა და სუვერენიტეტის მიღწევის საქმეში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სტრატეგიული გეგმებით. შემდეგ ამ კომიტეტის პრეზიდენტმა გააკეთა მოხსენება მისი აღმასკომის საქმიანობის შესახებ.

მოხსენებას წინ უძღოდა წუთიერი დუმილი, რომლითაც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა, აგრეთვე საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სპორტული ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებმა, რომლებიც სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ, პატივი მიაგეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრების გიორგი ბაბილოძის, ოთარ გიგინეიშვილის, ალექსანდრე გლურჯიძისა და ბორის პაიჭაძის ხსოვნას.

1989 წლის ოქტომბერში შექმნილმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა გამართა 53 სამუშაო სხდომა, რომლებზეც განიხილეს ქართული სპორტის განვითარების პრობლემები, მისი დამოუკიდებელი კონტაქტები საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან, შემდგომი მუშაობის პერსპექტივები. მოხსენებაში აღინიშნა, რომ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან შექმნილია სპორტულ ფედერაციათა საბჭო, ოლიმპიური აკადემია, ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი, რეგიონული კომიტეტები, აგრეთვე საქმიანობის სხვადასხვა მიმართულების ცხრა კომისია. კონკურსის საფუძველზე, რომელშიც განხილული იყო ასზე მეტი ნამუშევარი, დამტკიცდა მხატვარ თემურ ხმალაძის მიერ შექმნილი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა.

ხშირად გაისმოდა სიტყვა „პირველად“. მაგალითად, რესპუბლიკის სპორტსმენები პირველად მონაწილეობდნენ დამოუკიდებელი გუნდებით მსოფლიო ჩემპიონატზე კარატეში, ცხენოსანთა დიდ საერთაშორისო ასპარეზობაში „პარდუბიცეს სტიპლ-ჩეზი“, ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობაზე მკლავჭიდში, სადაც ზაურ ცხადაძე პირველი ქართველი სპორტსმენი გახდა, რომელმაც თავისი სამშობლოს ეროვნული ალმით ჯილდო მოიპოვა. პირველად საბჭოთა კავშირში საქართველომ მიმდინარე წლის 13 მაისს აღნიშნა ტრადიციული საერთაშორისო „ოლიმპიური დღე“. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით მყარდება კონტაქტები დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ისრაელის, მთელი რიგი სხვა ქვეყნების სპორტულ კლუბებთან. ქვეყნის სპორტული მოძრაობის ისტორიაში პირველად რესპუბლიკური ნებაყოფლობითი პროფკავშირული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შავარდენი“ გამოვიდა საკავშირო სტრუქტურიდან, თავიდან აიცილა ცენტრის დიქტატი.

ამავე დროს აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს არ შეუძლია სრულად გაშალოს თავისი საქმიანობა სუსტი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური ბაზის, შტაბ-ბინის უქონლობის გამო. აგრეთვე იმის გამო, რომ საკმარისად არ აქტიურობენ მისი კომისიები და რესპუბლიკურ სპორტულ ფედერაციათა უმრავლესობა დამოუკიდებელი სტატუსის მიღწევისათვის. მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციამ და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაციამ მოიპოვეს სრული სუვერენიტეტი, ნაწილობრივ ეს მოახერხა რაგბის ფედერაციამაც. ასეთი ვითარება საქართველოს ეროვნულ კომიტეტს არ აძლევს საკმარის საფუძველს იმისთვის, რომ სრულფასოვანი მოლაპარაკება აწარმოოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან ამ ორგანიზაციაში ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებელი წევრობის თაობაზე.

ცხარე კამათი გაიმართა საკავშირო დაქვემდებარებიდან რესპუბლიკური სპორტული ფედერაციების დაუყოვნებლივი გამოსვლისა და იმ საკითხებზე, რომ ქართველმა სპორტსმენებმა უარი თქვან საკავშირო ასპარეზობაში მონაწილეობასა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში გამოსვლებზე. კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს ნებაყოფლობითი პროფკავშირული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შავარდენის“ თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძე, ოლიმპიური ჩემპიონების კლუბის პრეზიდენტი დავით ციმაკურიძე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე რესან კონცელიძე, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე, არაერთგზის მსოფლიო ჩემპიონი სასტენდო სროლაში თამაზ იმნაიშვილი, საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის სამმართველოს უფროსი, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „მართვეს“ თავმჯდომარე მურად მნათობიშვილი, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) პრეზიდენტი ზაზა სიხარულიძე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რეგიონალურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და სხვები.

აზრი ამ საკითხებზე გაიყო. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის მიერ შეთავაზებულ მიმართვას რესპუბლიკის სპორტსმენებისადმი, სპორტული ფედერაციებისა და სპორტული მუშაკებისადმი საკავშირო სტრუქტურებიდან დაუყოვნებლივი გამოსვლის შესახებ სესიის მონაწილეთა სრული მხარდაჭერა არა ჰქონია. ეს იმით დაასაბუთეს, რომ ახლოვდება ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიური ასპარეზობა. ოლიმპიადაზე თითოეული გამოსვლა კი ამაღლებს ქართული სპორტის საერთაშორისო პრესტიჟს. ითქვა, რომ რესპუბლიკაში ახლა გამოცხადებულია გარდამავალი პერიოდი, რომელიც სასარგებლო იქნება დაამკვიდროს სპორტულმა მოძრაობებმაც, თა არსებული დრო გამოიყენოს ჩვენი სპორტის სუვერენიტეტის მისაღწევად მიზანდასახული მოქმედებისათვის. მაგრამ მაინც, მიმართვა დაიგზავნება რესპუბლიკაში როგორც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის დოკუმენტი.

ხმების უმრავლესობით მიიღეს მიმართვა საქართველოს უზენაესი საბჭოსადმი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თენგიზ სიგუას, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის, ბარსელონის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის, სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ვიტალი სმირნოვის, რესპუბლიკათა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისა და სპორტული საზოგადოებებისადმი.

საქართველოში მოწყობილი „ოლიმპიური დღის“ აქტიურ მონაწილეებს გადასცეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო სიგელები.

სესიამ განიხილა აგრეთვე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 1991 წლის ბიუჯეტი და გადაწყვიტა ორგანიზაციული საკითხები.

სს „საქართველო“

# ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ ᲝᲗᲮᲒᲖᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ

**ᲛᲐᲢᲩᲘᲡ** ოცდამეორე პარტიის ყაიმით დამთავრების შემდეგ ანგარიში გახდა 12:10. ამრიგად, კასპაროვმა მოაგროვა ქულათა საჭირო რაოდენობა და კიდევ სამი წლით შეინარჩუნა თავისი წოდება. ახლა იგი უკვე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია.

ამ შეხვედრაში, რომელშიც კასპაროვმა თეთრი ფიგურებით კვლავ ესპანური პარტია გაითამაშა, დიდხანს მეტოქეები მატჩის მეთხე პარტიის კვალს მიჰყვებოდნენ. კასპაროვს დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა და ამიტომაც მეტად ენერგიულად მოქმედებდა, ჩვეულებრივ იგი ერიდება ხოლმე შეწირვებს, მაგრამ ახლა ზედიზედ დათმო ორი პაიკი და, შეიძლება ითქვას, საკმაო კომპენსაცია მიიღო. მისმა ცენტრალურმა გამსვლელმა პაიკმა, რომელიც საიმედოდ იყო დაცული, მესამე ჰორიზონტალს მიაღწია და თამაშიდან გამორთო თეთრების „ესპანური კუ“. ცნობილია, როგორ როლს თამაშობს ეს კუ თეთრების საიერიშო გეგმებში. ახლა პოზიცია ისეთი იყო, რომ ჩემპიონს უფრო თავდაცვისათვის უნდა ეზრუნა, მაგრამ კასპაროვი რის კასპაროვი იქნებოდა, ასეთ მდგომარეობას რომ შერიგებოდა. მან ამჯობინა ფიგურის შეწირვა, რის შემდეგ ძალები გაააქტიურა და 43-ე სვლაზე შეხვედრა მუდმივი ქიშით, ყაიმით დასრულდა.

აი, რა განაცხადა პარტიის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა:

— რაც დრო გადის, მით უფრო მიძნელდება ჩემპიონობის დაცვა. აქ იმსაც აქვს მნიშვნელობა, რომ მე უფრო მეტს ვკარგავდი, ვიდრე ჩემი მეტოქე მოიპოვებდა. ამასთან კარპოვი უკეთ აღმოჩნდა მომზადებული, ვიდრე წინა შეხვედრებისას. მეექვსე პარტიიდან მოყოლებული, იგი დაეუფლა ინიციატივას და ასეთი მდგომარეობა მატჩის ნიუ-იორკის ნახევრის ბოლომდე შეინარჩუნა. ლიონში, როგორც ცხადი გახდა, მაინც შევძელი მატჩის მსვლელობაში გარდატეხის შეტანა. პარტიები მეტად დაძაბული იყო, ამასთან მე-13 და მე-14 შეხვედრებში კარპოვმა ვერ შეძლო უპირატესობის გამოყენება. უფრო უარესი მოუვიდა ცხრამეტე პარტიაში, სადაც მოგებასთან საკმაოდ ახლოს ვიყავი, თვით შევთავაზე ყაიმი, რასაც შემდეგ კარგა ხანს ვნანობდი. ასე თუ ისე, მატჩის შედეგები ობიექტურია...

დებულების თანახმად მატჩი გრძელდება და მაშინ დამთავრდება, როცა კასპაროვი 12,5 ან მეტ ქულას მოაგროვებს. ორთაბრძოლის ბოლომდე კიდევ შეიძლება ორი პარტია გაიმართოს. თუ ოქროს გვირგვინს ჩემპიონს ვერ შეეცილება, სამაგიეროდ, კარპოვს შესაძლებლობა რჩება მოიგოს დარჩენილი ორი პარტია და, ამგვარად, მატჩი ყაიმით დაამთავროს. ამ შემთხვევაში, როგორც ეს 1987 წელს სევილიაში მოხდა, მეტოქეები მატჩის ჰონორარს თანაბრად გაიყოფენ, რასაც, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს. მართალია, კასპაროვმა ისიც თქვა, რომ „სევილია აღარ განმეორდება“.

**ᲑᲘᲑᲘ ᲑᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ**

## ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ

# ᲐᲒᲠᲝᲤᲘᲠᲛᲐ „ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ“

**ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ** ველზე ახლახან ამოქმედდა აგროფირმა „განთიადი“, რომელშიც გაერთიანდნენ სოფელ ულიანოვკის, ამჟამად განთიადის ყოფილი კოლმეურნეობის წევრები.

აგროფირმა ოფიციალურად გამოეყო რაიონის აგროკომბინატს და ჰერეთის მიწაზე დაფუძნდა პირველი ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი ერთეული, რომელიც რესპუბლიკის სახაგრომრეწვს აღარ ექვემდებარება. რაისაბჭოს აღმასკომმა დაამტკიცა იგი, რომელიც ამიერიდან რესპუბლიკის საწარმოო ასოციაცია „კომპლექსს“ მიეკუთვნა.

ასოციაციამ აგროფირმას მილიონი მანეთი გამოუყო. „განთიადის“ განკარგულებაშია 1.730 ჰექტარი სავარგული, საიდანაც 1.580 ჰექტარი სახნავ-სათესია. აგროფირმაში გაერთიანდა 420 კომლის 550 შრომისუნარიანი მშრომელი. აქ ყოველწლიურად დამზადდება 300 ტონა თამბაქო, — თქვა აგროფირმის დირექტორმა ტარიელ იობაშვილმა. — დიდი ყურადღება მიექცევა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებას. განთიადელები თავიანთ პროდუქციას — თამბაქოს თავად გაახმობენ, დააფერმენტებენ, დაჭრიან და გაგზავნიან რესპუბლიკის რეგიონებში და საზღვარგარეთ. წელს 300 ტონაზე მეტ დაჭრილ თამბაქოს გამოუშვებენ ორასგრამიანი პოლიეთილენის კოლოფებით. სურვილი აქვთ გამოუშვან სიგარეტებიც.

დღესდღეობით აგროფირმამ უკვე დაამზადა 200 ტონამდე ხორცი და დიდძალი რძე. აქ ასუქებენ 200 კამეჩს, და 120 ღორს. მალე 1500 კამეჩი ეყოლებათ. აგროფირმის თავისუფალ შრომაში ჩაბმული განთიადელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავი ისახელონ.

**საკუთარი ინფორმაცია**

## ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲘ

# ᲜᲘᲭᲘᲡ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲜᲘᲭᲘᲐ




ჟურნალი ქალებისათვის... და არა მხოლოდ ქალებისათვის.

**ᲗᲣ** ქვეყანაზე კეთილი შური არსებობს, მაშინ ჩვენი კოლეგებისა კეთილი შურით გვშურს — ქართველმა საზოგადოებრიობამ შესანიშნავი, მართლაც საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული ჟურნალი „კალთა“ მიიღო. ახალი სიტყვა ყველანაირად — შინაარსით, გაფორმებით, აქტუალურობით, ინტერესებით. თბილისის საგაზეთო ჯიხურებში გამოჩენილი ეს ნიახლე იმის დასტურია, რომ ჩვენს გახაცოდავებულ პოლიგრაფიულ პირობებშიც კი ნიჭი და გემოვნება თავისას შვრება.

„კალთა“ ჟურნალისტებსა და მკითხველებს შორის გადებული ის „პოლიგრაფიული ხიდია“, რომელზედაც მხოლოდ სიკეთე, გემოვნება, სიყვარული და მანდილოსნისადმი პატივისცემა მიმოდის.

და ერთიც. „კალთას“ დღევანდელი საგაზეთო-საჟურნალო ბუმის პირობებშიც კი კონკურენცია არ ადარდებს. ნიჭის მეტოქე მხოლოდ ნიჭია.




**ᲩᲕᲔᲜᲛᲐ** საზოგადოებამ უკვე იცის, რომ დაარსდა ქართული სამედიცინო გაზეთი „ახალი კარაბადინი“. გუშინ გაზეთის მეორე ნომერი მიიღო მკითხველმა.

როგორც გამოცემის მესვეურები, სრულიად საქართველოს მედიცინის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება აღნიშნავენ, ეს ორი ნომერი მხოლოდ სარეკლამოა...

მიუხედავად ამისა, გაზეთებში მრავალი საქმიანი და საჭირო პუბლიკაციაა.

ღმერთმა ქნას, თავისი სახელის შესაფერისი სამსახური გაეწიოს ჩვენი ერისთვის ამ ახალ გაზეთს.

## ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

**28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ**

**პირველი პროგრამა.** 11.45 — მოსწავლეთა საშობაო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. ქართული მხატვრული ფილმი „დიდოსტატის მარჯვენა“. II სერია. 13.00—ნაშუადღევს. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვეულებრივი სასწაულები“. 16.55 — „საესტრადო პანორამა“ (გამეორება). 17.40 — მოსწავლეთათვის. წითელწყაროს ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტი. 18.20 — განცხადებები. 18.25 — ხალხური შემოქმედება. „პირველად ლაგოდეხში“. 18.45 — „მოთხრობები საინგილოზე“. 19.45 — „საქმემან შენმან“. 20.00 — მოამბე. 20.40 — P. S. 21.00 — „ვრემია“. 21.50 — ვიდეო... ვიდეო... 24.00 — ქრონიკა.

**მეორე პროგრამა.** 12.55 — ქართული მხატვრული ფილმი „ნამდვილი კავკასიელი“. 14.05— სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების ეკრანი. 15.05 — ქართული მხატვრული ფილმი „გიორგი სააკაძე“, I და II სერია. 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.25 — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი მსხვერპლი“. 20.00 — ჩვენი პრემიერა. „უჩვენებს სატელევიზიო თეატრი“. ა. ყაზბეგი— „მოძღვარი“.

### ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

**28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ**

**პირველი პროგრამა:** 6.30 — „120 წუთი“. 8.35 — მულტფილმი. 8.55 — „გამარჯობა, მუსიკავ“!. 9.40 — კინოპანორამა. 11.40 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 12.25 — კოლაჟი. 12.30 — „ვრემია“. 17.10 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 17.25 — კინოჩანახატი. 17.45 — „რაზე მღერიან დედამიწის ბავშვები“. 18.30 — „ვრემია“. 19.30 — მულტფილმი. 19.45 — გ. სვირიდოვი. „მიმავალი რუსეთი“. სიმფონიური პოემა ს. ესენინის სიტყვებზე. 20.00 — „თვალსაზრისი და სხვანი“. 21.00 — „ვრემია“. 21.50 — სსრკ-ის მთავრობაში. 22.00 — კოლაჟი. 22.05— „ეს იყო... იყო...“ 22.30 — „თვალსაზრისი“ და სხვანი.

**მეორე პროგრამა.** 8.00 — დილის ვარჯიში. 8.15 — „როგორ გავხდეთ ექსტრასენსი“. სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 8.35-9.35 — მუსიკა: მე-2 კლასი. 9.05 — ინგლისური ენა. სწავლების პირველი წელი. 10.05 — ინგლისური ენა. სწავლების მეორე წელი. 11.35 — ისტორია. მე-8 კლასი. 11.55 — „შავისა და თეთრის მაგია“. სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 12.05 — „20 დეკემბერი“. მეოთხე სერია. 13.10 და 17.00 — კონცერტი. 17.45 — „ობიექტივი“. 18.15 — სპორტი ყველასათვის. 18.30 — „ვრემია“. 19.00 — არენა. 20.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 20.15 — დოკუმენტური ფილმის პრემიერა. 20.50 — სატელევიზიო მუსიკალური აბონემენტი. 21.35 — კოლაჟი. 21.40 — აქტუალური ინტერვიუ. 21.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ფიფქია ხომ არ გამოგიძახიათ?“.


მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;

წერილების რედაქცია 99-73-24.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, ხოშარაულის ქ. № 29

ინდექსი 66484

საქართველოს რესპუბლიკა